# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 13 ივლისი. 2017 წ. №139 (8276), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.



5

ვანო ზარდიაშვილი:

## ნიკა გვარამია და „ნაციონალური მოძრაობა“ მარაზმში არიან!

*დაბადების დღეს გილოცავთ, მაესტრო!*

## სიმღერაა მთელი ჩემი ცხოვრება...

6



დიდი მადლობა, ბატონო ვაჟა, რომ ასეთ შედევრებს ქმნით. მთელი თქვენი შემოქმედება არის ქართული მუსიკის საგანძური, რომელმაც ყველა დროს გაუძლო...

## რა ეშველებათ იმათ, ვისთვისაც ომი ჯერ არ დასრულებულა?!



7

## „ცრუსთავი-2“ სააკაშვილის ტახტზე დასაბრუნებლად ნემსის ყუნწში ძვრება!

# არცრა გველსა ცვლის და არცრა მგელსა...

## გაბუნიას „არჩევანიც“ ისევ ბოროტების გზას მისდევს





**ქვეყნის** ხვრასა და ჭამას მიჩვეულ თითქმის ყველა პოლიტიკურ პარტიას სულ ათასგვარ ანტიეროვნულ ცოდვაში ამოვლებულ ფეხებზე ჰკიდია (ზოგს კიდევ სხვა თვალისთვის უჩინარ რამეზეც!) საქართველოც და ქართველი ხალხიც. ისე, იცოცხლე, ცრუპატრიოტულად აქაფებულ პირზე სუყველას საქართველო და ქართველი ხალხი აკერია. სუყველა ამჟამინდელი ჯოჯოხეთიდან თავდახსნას და სამოთხეში ცხოვრებას გვპირდება. ჩვენც, პირში დამპალჩალაგამოვლებულთ, ოცდახუთი წელიწადია, რაც უხვი დაპირებების ჩანჩქერი დაგვდის, და ამდენი გაუთავებელი პოლიტიკური უბედობისგან კარგაგვარიანად გამოთაყვანებულთ მაინც გვეცოტავება ეს ცრუ დაპირებები...

ამ ახალი ცრუ დაპირებების მოწმენი კიდევ ერთხელ გავხდით აგერ ახლა, სამშაბათს, 11 ივლისს, როცა საქართველოს მოქალაქეობაზე უარის მთქმელმა და ათასგვარი დანაშაულისგან თავდაძვრენილმა „გაუკრაინელებულმა“ მიხაილო სააკაშვილმა თავისი თავგადაკლული აგიტატორის ჯულიეტოვნას აღვირახსნილი მეცადინეობით მთელი ორი საათი ჩაბჟირებულმა გვმოძღვრა, მე თუ არ მოვედი, ანუ ისევ ჩვენი ნაციონალური პარტია თუ არ მოვიდა ხელისუფლებაში და ეს რუსი ოლიგარქი ივანიშვილი არ მოვიშორეთ, საქართველო, რომელიც ამათ ხელში უკვე უფსკრულის პირას არის, სამუდამოდ დაიღუპებაო.

იმის მაგივრად, რომ უამრავი დაპირება ნაწილობრივ მაინც შეესრულებინა და სიღარიბეს შებრძოლებოდაო, ივანიშვილმა პირადად მე და მთელ ნაციონალურ გუნდს დაგვიწყო ბრძოლაო. იმის იმედით, რომ ბევრს ნაციონალების ანტიქართული, ჟანდარმერიული, ფაშისტური რეჟიმის ბედუკუღმართობანი აღარ ახსოვს, ვანო მერაბიშვილისა და ბაჩო ახალაიას კაიკაცობაზე აიქაფა პირი, ხოლო რაც შეეხება დედაქალაქის ბიუჯეტის მილიონების მსანსვლელ გიგი უგულავას, იგი თურმე ციხიდან იმიტომ გამოუშვეს, რაკი სააკაშვილის განდგომის ნიშნად მარტო გიული დედა კი არა, მკვდარი და ცოცხალი ამოუტრიალა.

ერთი სიტყვით, აგიტატორმა ჯულიეტოვნამ ყველა პირობა შეუქმნა პოლიტიკურად უკვე უკრაინაშიც განეხვიანებულ იორქშირული ქოსმენივით ჩაკურატებულ სააკაშვილს, რომ ბატონ მიუნჰაუზენივით ეტრაბახა და ებაქიბუქა, ძველი ჩამოურეცხავი ცოდვები ახალი ტყუილების შხაპით როგორმე ჩამოერეცხა...

აქ უცილოდ უპრიანია ერთი ძველი ქართული გამოთქმის გახსენება, გამდის და იმიტომ ვღრიალებო, ანუ შენი გათავხედება, ჩემი სიბეჩავის ბრალიაო. ამჟამინდელ ლიბერალურად განწყობილი, ევროპის გამაოცებელი დემოკრატიის შექმნის ჟინით შეპყრობილი მთავრობა — აშკარად საკუთარი თავის წინააღმდეგ მოქმედებს და, როგორც ასეთ დროს იტყვიან, აჯეჯილებს და ანებივრებს სახიფათოდ თავაწყვეტილ ოპოზიციას, რომელიც არც მალავს და არც ფარავს, რომ ოცნებას მალე ბოლოს მოუღებს.

**ჩვენ არამც და არამც არ მოვუწოდებთ „ოცნებას“, ისე მოექცეს ოპოზიციას, როგორც ნაციონალები ექცეოდნენ, მაგრამ მეტისმეტი კდემამოსილი დემოკრატობანას თამაში ნამდვილად დამღუპველია უწინარესად თვითონ ქვეყნისთვის, რომელიც ხელისუფლების მხრიდან ასეთი არაპრინციპულობის გამო, ემანდ სამოქალაქო დაპირისპირების წინაშე არ აღმოვჩნდეთ!**

სიტყვის თავისუფლება თუ გამოხატვის თავისუფლება, როგორც ცნობილია, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებას თავისი მტკიცე პოზიცია არ ჰქონდეს და ვისაც როგორ მოეპრიანება, ისე ელაპარაკებოდეს ხალხს, რომელსაც უპირველესად ხელისუფლების იმედი აქვს, რომ ხვალინდელი დღე დღევანდელზე უკეთესი გათენდება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთ დროს, როცა ქვეყნიდან გაძევებული დამნაშავე ნაპრეზიდენტალი ხელისუფლებისადმი აშკარად მტრულად განწყობილი ტელეარხით მთელი ორი საათი ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდას ეწევა, ხელისუფლება ვალდებულია საგანგებო განცხადებით მიმართოს მოსახლეობას და გაარკვიოს, რა ხდება.

თუ მართლა სუვერენული სახელმწიფო ვართ, თავისუფალი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული, რომლის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სტრასბურგმა შეაჩერა, მთავრობა ამ შემთხვევაშიც ვალდებულია, რომ საქმის კურსში ამყოფოს ხალხი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საერთოდ გაუქმდა თუ შეჩერებულია განსახილველად. მაგრამ როდემდე?! ყველაფერს ხომ აქვს თავის საზღვარი.

**ერთი სიტყვით, ხალხსა და ხელისუფლებას შორის უფსკრული თუ არა, კარგა მოზრდილი ხრამია, სადაც ქვეყანას გადაჩეხვას უპირებენ გარკვეული ბოროტი ძალები. ხელისუფლება კი ყოველგვარ გადამჭრელ ზომებს თავს არიდებს. ჩვენ არ ვამბობთ, ხელისუფლება ოპოზიციას უნდა დაერიოს, როგორც ამას ნაციონალები სჩადიოდნენ სააკაშვილის მეთაურობით, მაგრამ ყოველ ანტისახელმწიფოებრივ გამოვლინებას რომ ზედმიყოლებული პრინციპული შეფასება უნდა, ეს აუცილებელზე აუცილებელია.**

რაც შეეხება 11 ივლისის „არჩევანს“, მახსოვრობაშენარჩუნებულ ყველა მიუკერძოებელი მოქალაქე ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ გველი გველად რჩება და მგელი — მგლად.

და აქ ზედ გამოჭრილია ჩვენი ქართული აზროვნების მესაძირკვლის უკვდავი სტრიქონები: „ავსა კაცსა ავი სიტყვა, ურჩევნია სულსა, გულსა“ ანდა „ავსა კაცსა ურჩევნია, ავსამცა რას ადრე სცნობდა“.

აი, სწორედ ეს ავი კაცი აბაქიბუქა ჯულიეტოვნამ 11 ივლისის „არჩევანში“.

ასე რომ, ხელისუფლებას მაინცდამაინც საოცნებოდ არა აქვს საქმე, ნუთუ ხელისუფლების რომელიმე წევრს გაგონილი მაინც არა აქვს — პწკენა-პწკენაში დედოფალი დაორსულდაო?! ჩვენი აღვირახსნილი ოპოზიციის საქციელი კი უწყინარ პწკენაზე კარგა გვარიანად მეტია!..

**გურამ წიკლაური**



# ნინო ბურჯანაძე: სანატრელი გვექნება ის, რაც დღეს გვაქვს!

— მივესალმები ნებისმიერ ვიზიტს რუსეთში, რომლის ამოცანაც იქნება სახელმწიფო ინტერესების დაცვა. ის, რომ ხელისუფლება არაფერს აკეთებს ამ მიმართულებით, სრულიად ნათლად არის ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედება. რას ველოდებით ძალიან მაინტერესებს?! რამდენზე უნდა გადმოსწიონ კიდევ საზღვარი, რომ გონს მოვიდეს ხელისუფლებაც, პოლიტიკური სპექტრიც, საზოგადოების ის ნაწილიც, რომელიც დიალოგზე უარს ამბობს. დანაშაულებრივია პოზიცია დიალოგზე უარის თქმისა! თუ ხელისუფლება პირდაპირ არ ჩაერთო ამ პროცესში და უმაღლეს დონეზე მოლაპარაკებები სასწრაფოდ არ დაიწყო, დღევანდელი მდგომარეობა სანატრელი გაგვიხდება. სანატრელი! ვაფრთხილებ ყველას — პოლიტიკურ სპექტრსაც, საზოგადოებასაც, სრულიად საქართველოს, მეტი უბრალოდ ჩემს ძალებში ნამდვილად არ შედის. სანატრელი გვექნება ის, რაც დღეს გვაქვს. ყოველდღიურად უარესდება ვითარება, ყოველდღიურად იხურება მოლაპარაკების შესაძლებლობის ჩარჩოები. ყოველდღიურად საქართველოს მოსალაპარაკებელი პოზიცია უარესდება და ეს არის კატასტროფა ქვეყნისთვის, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

# ოპოზიციის ერთი ნაწილი ცდილობს, ხელი შეუწყოს რუსულ პროვოკაციებს, მეორე ნაწილი – ხელი შეუწყოს რუსების მიზანს!

საგარეო საქმეთა მინისტრი და ვიცე-პრემიერი მიხეილ ჯანელიძე ოპოზიციის წარმომადგენლებს მოუწოდებს, რომ მაქსიმალურად ცივი გონებით, შიდა პოლიტიკური სპეკულაციების გარეშე შეაფასონ არსებული რეალობა.

**„რას აკეთებს ოპოზიცია? — ერთი ნაწილი ოპოზიციისა ცდილობს, ხელი შეუწყოს რუსულ პროვოკაციებს, მოგვიწოდებს რა, დავუბრუნდეთ იმ პოლიტიკას, რასაც ისინი ახორციელებდნენ, როდესაც იყვნენ ხელისუფლებაში და შედეგად მივიღეთ ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია, ხოლო მეორე ნაწილი ცდილობს, ხელი შეუწყოს რუსების მიზანს, დაარწმუნოს საერთაშორისო საზოგადოება, რომ საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობის გარეშე, პირდაპირი დიალოგით თითქოს შესაძლებელია პრობლემების მოგვარება. აქედან გამომდინარე, მე მინდა ვთხოვო ყველას, რომ შევეცადოთ, მაქსიმალურად ცივი გონებით, შიდა პოლიტიკური სპეკულაციების გარეშე შევაფასოთ არსებული რეალობა და შევეცადოთ, ერთად შევეწინააღმდეგოთ აგრესიას ჩვენი სიმტკიცით და ჩვენი განვითარებით შევძლოთ როგორც ჩვენი ქვეყნის გამთლიანება, ასევე, ევროპული და ევროატლანტიკური ოჯახის სრულფასოვანი წევრობა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ამ ბევრ სირთულეს, ჰიბრიდულ საფრთხეს და რისკს გავუმკლავდეთ ერთობით და გაწონასწორებული პოლიტიკით. მინდა, საზოგადოება დავარწმუნო, რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკის, ისევე როგორც შიდა პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს ქვეყნის გამთლიანება. საგარეო საქმეთა სამინისტრო, ჩვენი ყველა საელჩო, მთავრობა აკეთებს ყველაფერს, რათა ამ რეალურად ძალიან რთულ მოცემულობაში როგორიც ჩვენს რეგიონშია და ასევე მსოფლიოს მასშტაბით, ჩვენ შევძლოთ აგრესიისადმი გამკლავება და იმ ნაბიჯების გადადგმა, რომელიც ჩვენს ქვეყანას ერთობას მოუტანს“,** — განაცხადა ჯანელიძემ.

# გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ანტონიო გუტერეშს შეხვდა

**გაეროსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი კახა იმნაძე გაეროს გენერალურ მდივანს ანტონიო გუტერეშს შეხვდა.**



ანტონიო გუტერეშთან შეხვედრაზე ქართულმა მხარემ ყურადღება გაამახვილა საქართველოში არსებულ უსაფრთხოების მდგომარეობასა და ჰუმანიტარულ გამოწვევებზე. გენერალურ მდივანს ელჩმა გააცნო ინფორმაცია რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ ცხინვალის საოკუპაციო ხაზის გასწვრივ უკანონო მავთულხლართებისა და ბარიერების აღმართვის პროცესზე, მათ შორის სოფელ ბერშუეთში საოკუპაციო ხაზზე ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერის უკანონო აღმართვის შესახებ. აღინიშნა, რომ ე.წ. „ბორდერიზაციის“ პროცესი არა მარტო უხეშად ლახავს ადგილზე მცხოვრები მოსახლეობის ფუნდამენტურ უფლებებს, არამედ მნიშვნელოვან ზიანს აყენებს უსაფრთხოების გარემოს ადგილზე და ხელს უშლის საქართველოს ძალისხმევას კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის.

**სამწუხაროდ, საერთაშორისო თანამეგობრობის მოწოდების მიუხედავად, რუსეთის ფედერაცია განაგრძობს საერთაშორისო სამართლის პრინციპების და 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით აღებული ვალდებულებების უხეშ დარღვევას. ზემოაღნიშნული ფაქტი და, ზოგადად, საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში და მიმდებარე ზონებში არსებული მდგომარეობა კიდევ ერთხელ ცხადყოფს უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნისა და ადამიანის უფლებათა მონიტორინგის აუცილებლობას.**

# დონალდ ტრამპის შვილმა რუსეთთან დაკავშირებული მიმოწერა გაასაჯაროვა

**აშშ-ის პრეზიდენტის ვაჟი დონალდ ტრამპ უმცროსი სოციალურ ქსელში იმ მიმოწერას ასაჯაროებს, რომელიც რუს ადვოკატთან შეხვედრამდე, ბრიტანელ შუამავალ რობ გოლდსტოუნთან ჰქონდა.**



წერილებში ჰილარი კლინტონის წინააღმდეგ კომპრომატების წყაროდ რუსეთის მთავრობაა დასახელებული. ტვიტერის საშუალებით გამოქვეყნებულ წერილებში ჩანს, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტის შვილი, მზად იყო რუსეთისგან დემოკრატი კანდიდატის მაკომპრომეტირებელი ინფორმაცია მიეღო. მისი განცხადებით, რუს ადვოკატთან საუბრის შესახებ მამამისმა არაფერი იცოდა. ტრამპ უმცროსის მტკიცებით, შეხვედრაზე მან დაპირებული ინფორმაცია ვერ მიიღო.

**იქიდან გამომდინარე, რომ ღირებული ინფორმაცია არ მიუღია, დონალდ ტრამპ უმცროსის თქმით, მან საჭიროდ არ ჩათვალა, ამ შეხვედრის საქმის კურსში მამის ჩაყენება.**

თავად პრეზიდენტი ტრამპი კი შვილის მიერ მიმოწერის გამოქვეყნებას და გამჭვირვალობას მიესალმება. წერილებს კი სპეცპროკურორი რობერტ მიულერი შეისწავლის, რომელიც შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის ჩარევის საკითხს იკვლევს.

**დონალდ ტრამპ უმცროსი ამ შეხვედრისა და მიმოწერის გამო, შესაძლოა, სენატის დაზვერვის კომიტეტის წინაშე მოსმენაზეც კი წარდგეს.**

# მიხეილ ჯანელიძე ვიცე-პრემიერად დაინიშნა



**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე ვიცე-პრემიერად დაინიშნა.** გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, მიხეილ ჯანელიძის დანიშვნით, ხაზი გაესმება საგარეო პრიორიტეტების მნიშვნელობას საქართველოს მომავლის შენების საქმეში

**— ეს ყოველთვის იყო კიდეც პრიორიტეტი და ამ დანიშვნით, ვფიქრობთ, რომ კიდევ ერთხელ გაესმება ხაზი ჩვენი საგარეო პრიორიტეტების მნიშვნელობას საქართველოს მომავლის შენების საქმეში. ძალიან წარმატებული ნაბიჯები გადადგა მიხეილ ჯანელიძემ. ვიზალიბერალიზაციის პროცესის წარმატებით დასრულება იყო ძალიან მნიშვნელოვანი და ამ მიმართულებით ლომის წილი საგარეო საქმეთა სამინისტროს ჰქონდა. ასევე მიხეილ ჯანელიძე ეკონომიკის მინისტრის მოადგილედ მუშაობის პერიოდში იყო მთავარი მომლაპარაკებელი საქართველოს მხრიდან ევროპასთან თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების გაფორმების პროცესში. ასე რომ, ვფიქრობ, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა.**

# ენერგეტიკის მინისტრი ილია ელოშვილი იქნება

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ენერგეტიკის მინისტრის თანამდებობაზე ილია ელოშვილი წარადგინა.**




მისი თქმით, ილია ელოშვილი ძალიან წარმატებული ენერგეტიკის მინისტრი იქნება.

**„იგი რამდენიმე თვის განმავლობაში უკვე იყო მინისტრი, ასე, რომ მინისტრობის გამოცდილებაც აქვს და დარწმუნებული ვარ, წარმატებით გაართმევს თავს ამ ძალიან მნიშვნელოვან ფუნქციას და ამოცანებს. მას აქვს როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორსა და საერთაშორისო პროგრამებში მუშაობის გამოცდილება. ილია მუშაობდა USAID-ისა და „ათასწლეულის გამოწვევის“ პროგრამებში და ვფიქრობ, იქნება ძალიან წარმატებული ენერგეტიკის მინისტრი“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

# საქართველოს ეროვნულ გვარდიას ახალი მეთაური ჰყავს

**საქართველოს ეროვნულ გვარდიას პოლკოვნიკი ირაკლი ჭუმბურიძე უხელმძღვანელებს. გუშინ ეროვნულ გვარდიაში მეთაურობის უფლებამოსილების გადაბარების ცერემონიალი პირველად გაიმართა. ამით ის ახალი ტრადიცია გრძელდება, რომელსაც საფუძველი, მინისტრ ლევან იზორიას გადაწყვეტილებით, გასულ წელს გენერალური შტაბის უფროსის უფლებამოსილების გადაბარების ცერემონიალის გამართვით ჩამოყალიბდა. ეროვნული გვარდიის ყოფილმა უფროსმა, ბრიგადის გენერალმა ლევან გამყრელიძემ პოლკოვნიკ ირაკლი ჭუმბურიძეს საპატიო წესით დროშა გადასცა.**

საზეიმო ღონისძიებას საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ჩაჩიბაია დაესწრო. გენერალური შტაბის უფროსმა პოლკოვნიკ ირაკლი ჭუმბურიძეს ახალ პოზიციაზე დანიშვნა მიულოცა და წარმატებები უსურვა.



# ელიტ ელექტრონიქსის დამფუძნებელი ბიზნესმენი ანზორ ქოქოლაძე ხელისუფლებას მამუკა ხაზარაძის ლობირებაში ადანაშაულებს

**ელიტ ელექტრონიქსის დამფუძნებელი ბიზნესმენი ანზორ ქოქოლაძე ხელისუფლებას მამუკა ხაზარაძის ლობირებაში ადანაშაულებს. ამასთან დაკავშირებით ბიზნესმენმა 11 ივლისს „თბილისი მერიოტში“ სახალხო დამცველთან და ადვოკატებთან ერთად პრესკონფერენცია გამართა, უცვლელად გთავაზობთ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე გაკეთებულ განცხადებას:**



ყველასთვის ცნობილია და აღარ გავიმეორებ იმ ისტორიას, რომელიც ეხება სააკაშვილის რეჟიმის მხრიდან ჩვენს მიმართ ტერორს, ელიტ ელექტრონიქსის და სხვა უძრავ-მოძრავი ქონების მითვისებას, ჩემი და ჩემი უახლოესი ადამიანების დაპატიმრებას და ჩვენს მიმართ განხორციელებულ დევნას. გახსოვთ, ალბათ, მიუხედავად ზეწოლისა ჩვენ არცერთი წუთით არ შეგვიწყვეტია ბრძოლა სამართლიანობისათვის, ქართულ და საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში. მუდმივად გაწვდიდით ინფორმაციას მოვლენების განვითარებაზე. ბევრი თქვენგანი თანამონაწილეა ამ ბრძოლის, რადგან აქტიურად აშუქებდით პრესკონფერენციებს და ყველა იმ უკანონო მოქმედებებს, რომელსაც ჩვენს მიმართ ჰქონდა ადგილი. მუდმივად გაწვდიდით ინფორმაციას, როგორ ატერორებდა ბიზნესს სააკაშვილის ხელისუფლება, რომელშიც ჩართული ყავდა სახელმწიფო ხელისუფლების თითქმის ყველა შტო: ფინანსური პოლიცია, პროკურატურა, საგადასახადო სამსახური, ქალაქის მერი, პარლამენტი სასამართლო და სამწუხაროდ ბიზნესმენი მამუკა ხაზარაძე თიბისი ბანკით...

სახეზეა ყველა მტკიცებულება, არსებობს მტკიცებულების სახით ერთ ღამეში ჩანიშნული სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილებები, რომლის საფუძველზე სააკაშვილის ხელისუფლებამ ჯერ მართვაში უკანონოდ შემოიყვანა მამუკა ხაზარაძის თიბისი ბანკი, მომხსნეს დირექტორობიდან, ჩემი მოხსნიდან 20 დღეში თიბისი ბანკის მიერ დანიშნულ დირექტორს დავით კენჭაძეს მიზანმიმართულად არ გადაახდევინეს კრედიტი 500 000 ლარი, ხოლო შემდეგ კრედიტის დარღვევის მოტივით თიბისი ბანკმა გადაიფორმა ელიტ ელექტრონიქსი. **კრედიტის გადახდის დარღვევა მოხდა, ერთადერთხელ თიბისი ბანკის მართვაში შემოსვლის შემდეგ, ისიც ჩემი მოხსნის შემდეგ 2010 წლის 15 მარტს თიბისი ბანკის მიერ დანიშნულ დირექტორის დავით კენჭაძის მიერ** . ისიც დაუჯერებელ ვითარებაში, მაშინ როცა კომპანიას თიბისი ბანკის ანგარიშზე 8 მილიონი ლარი ჰქონდა ბრუნვა და უაქცეპტო წესით შეეძლო ჩამოეჭრა კრედიტის დასაფარი თანხა. ყველა მტკიცებულებით დასაბუთბულია რომ საქმე გვაქვს მიზანმიმართულ, თაღლითურ სქემასთან, სწორედ ამ თაღლითურ სქემაში მონაწილეობდა მამუკა ხაზარაძის თიბისი ბანკი, სწორედ ამ 15 მარტის თიბისი ბანკის მიერ დანიშნული, ელიტ ელექტრონიქსის დირექტორის დავით კენჭაძის მიზანმიმართულად დარღვეული კრედიტით დაეუფლა ელიტ ელექტრონიქსის აქციებს თიბისი ბანკი, ხოლო შემდეგ ერთ ლარად გადაუფორმა კეზერაშვილის მიერ სწორედ ამ სქემისთვის შექმნილ „ელიტ ეფლაიენსს“. ამის ანალიზი ნებისმიერ ადამიანს თავისუფლად შეუძლია და რაც არ უნდა თავი იმართლოს თიბისი ბანკმა დღეს ველარავის ვერ შეიყვანს შეცდომაში რომ თითქოს ცილს ვწამებ.

ამ ყველაფრის შემდეგ, როცა 2012 წელს ბიძინა ივანიშვილის ძალისხმევით ქართველმა ერმა დაასრულა სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი და ახალი ხელისუფლება სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგით მოვიდა, ისევე როგორც ყველას, მეც გამიჩნდა მოლოდინი, რომ აღდგებოდა სამართლიანობა და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმეოდა. ხუთი წლის წინ ვერც კი დავუშვებდი, რომ სისხლიანი რეჟიმის ცვლილებიდან ხუთი წლის შემდეგაც არათუ სამართლიანობა არ აღდგებოდა, სასამართლო პროცესებიც კი არ ჩაინიშნებოდა. ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, რომ კვლავ მომიწევდა პრესკონფერენცია მომეწვია იმ ხელისუფლების პირობებში რომელიც სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგით მოვიდა და ეს ხელისუფლება შევიდოდა დანაშაულში მონაწილეებთან გარიგებაში, რისი საფუძვლიანი ეჭვი მას შემდეგ გაჩნდა, როცა წინა ხელისუფლების დანაშაულებში თანამონაწილე მამუკა ხაზარაძე ამ ხელისუფლების ფავორიტი ბიზნესმენი გახდა. ის ჩვეული ალღოთი აქტიურად შეუდგა ხელისუფლებასთან დაახლოებას. ეს მისი ჩვეული სტილია, დაახლოებული იყო კომუნისტურ ხელისუფლებასთან, შევარდნაძის ხელისუფლებასთან და სააკაშვილის რეჟიმთან. დეტალურად შემიძლია ვისაუბრო სააკაშვილის რეჟიმთან ერთად ჩადენილი დანაშაულების შესახებ, რადგანაც ამ სქემების თვითმხილველი და დაზარალებული ვარ.

ჩემი როგორც არასასურველი ბიზნესმენის მოცილების წარმატებული ოპერაციის შემდეგ 2010 წლის 27 დეკემბერს სააკაშვილმა ხაზარაძე დააჯილდოვა ბრწყინვალების ორდენით. როგორც იცით, ხაზარაძე თავისი თიბისი ბანკით აქტიურად იყო ჩართული სონი ცენტრის, მაგნატისა და ჯემალ ლეონიძის ტერორში, კონსტანტას, ივა ჩიღვინაძის და სხვა უამრავი გახმაურებულ თუ გაუხმაურებელ სქემებში. ხელისუფლებისათვის მიუღებელი უამრავი ბიზნესმენი შემხვდა ციხეში, რომელთა წინააღმდეგაც თიბისი ბანკი იყო ჩართული, რის შემდეგაც სააკაშვილმა ხაზარაძე კიდევ ერთი – წმინდა ნიკოლოზის ორდენით დააჯილდოვა. სხვათა შორის ხაზარაძე ერთადერთი ბიზნესმენია, ვისაც სააკაშვილის ჯილდოები აქვს მიღებული.

ახლა კი როცა გვეგონა, რომ ყველაფერს თავისი სახელი დაერქმეოდა, ახალ ხელისუფლებაშიც ხელისუფლების ფავორიტი აღმოჩნდა.

ჩვენ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ჩემი და ელიტ ელექტრონიქსის საქმეების უსასრულოდ გაწელვის მიზეზი, როგორც პროკურატურაში ისე სასამართლოში გამოწვეულია ხელისუფლების გავლენიანი წრეების მხრიდან მამუკა ხაზარაძის ლობირებით.

მიუხედავად იმისა რომ ყველა გონივრული ვადა ამოიწურა, არათუ სამართლიანობა აღსდგა, არამედ ელემენტარულად დაზარალებულადაც კი არ ვარ ცნობილი. სასამართლოში კი კიდევ უარესი ხდება, ბრალზე, რომელიც 2011 წელს სააკაშვილის რეჟიმმა უკანონოდ წამიყენა, დღემდე ვერ ხერხდება სასამართლო პროცესის ჩანიშვნა, რათა დავამტკიცო რომ ადეიშვილ-ხაზარაძე-კეზერაშვილის ბრალდებები იყო უკანონო, რომ ყველა ბრალდება ჩემს მიმართ უსაფუძვლოა და ეს ადეიშვილის პროკურატურამ ხაზარაძის და კეზერაშვილის დახმარებით შეითითხნა იმის გამო, რომ წაერთმიათ წარმატებული ბიზნესი, რომელიც 1996 წლიდან 100 ლარით დავიწყე და 2009 წლისთვის ტექნიკის ლიდერი იყო, 352 მილიონი ბრუნვითა და 2000 თანამშრომლით.

რამდენჯერმე მივმართე ამ საკითხზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო გვენეტაძეს, იუსტიციის საბჭოს, ქ. თბილისის სასამართლოს თავმჯდომარეს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ბრალის წარდგენიდან უკვე 6 წელი გავიდა და კანონით განსაზღვრულია 24 თვე, სასამართლო პროცესები კი ჯერაც არ ჩანიშნულა.

მივმართავ ხელისუფლებას, ნუ გახდებით სააკაშვილ-ადეიშვილ-კეზერაშვილ-ხაზარაძის დანაშაულებრივი სქემის მონაწილე.

მოგიწოდებთ:

**1. მოხდეს სასამართლო პროცესების დროული ჩანიშვნა;**

**2. დაჩქარდეს ჩემი დაზარალებულად ცნობა;**

**3. დაჩქარდეს ელიტ ელექტრონიქსის მითვისებასთან დაკავშირებული დანაშაულებრივი სქემების გამოძიება.**

მერწმუნეთ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პროექტების გვერდით, თუ თითოეულ მოქალაქეს არ ექნება იმის რწმენა, რომ სამართლიანობა დამკვიდრდება და მათი საკუთრების ხელყოფას ვერავინ შეძლებს, დამერწმუნეთ, წყალში გადაყრილი იქნება ყველა ის რესურსი, რომელმაც ჩვენს ქვეყანას წარმატება უნდა მოუტანოს.

**ჩვენ არ ვაპირებთ გაჩერებას, აუცილებლად გავაგრძელებთ ბრძოლას ქართულ და საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში. გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ხელისუფლების გარკვეული წრეები ლობირებენ მამუკა ხაზარაძეს და შესაბამისად ელიტ ელექტრონიქსთან დაკავშირებული პროცესები შეიძლება წარიმართოს ტენდენციურად ან საერთოდ დარჩეს რეაგირების გარეშე. ჩვენს საქმეზე განვითარებული მოვლენების შესახებ ყველა ინფორმაციას გავასაჯაროებთ, ყველა მოვლენის შესახებ პარალელურად მივაწვდით ინფორმაციას ჟურნალისტებს და მოხდება საზოგადოების ინფორმირება.**

# თაღლითობისთვის ნასამართლევმა ანზორ ქოქოლაძემ ისევ ცილისწამებას მიმართა

**თაღლითობისთვის ნასამართლევი ანზორ ქოქოლაძე წინასაარჩევნოდ კვლავ გააქტიურდა და ცილისმწამებლური განცხადებების მორიგი ტალღა ააგორა თიბისი ბანკის წინააღმდეგ. როგორც ჩანს, ქოქოლაძე ითხოვს, სახელმწიფომ, კერძო ბიზნესმა და სასამართლომ – სამივემ აპატიოს მას ჩადენილი უკანონო ქმედებები და ცნოს „დაზარალებულად“, რაც ისეთივე უტოპიაა, როგორც სხვა მის მიერ გამოთქმული არაერთი განცხადება წლების განმავლობაში.**

**საზოგადოებამ იცის, რომ პროკურატურა ჯერ კიდევ იძიებს ქოქოლაძის მიერ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის საქმეს, ამასთან ის ერთხელ უკვე ნასამართლევია თაღლითობისთვის. ამ ფონზე, ქოქოლაძე გადაწყვეტილებას იღებს, ტრადიციულად, თავს დაესხას ისევ თიბისი ბანკს, რომელთან დავა ელიტ ელექტრონიქსის თემაზე მას უკვე სამი ინსტანციის სასამართლოში აქვს წაგებული.**

**საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენებთ საქმის ნამდვილ არსს. თიბისი ბანკსა და ქოქოლაძეს შორის ერთადერთი კავშირი იყო სასესხო ხელშეკრულებები, რომელიც ეხებოდა ელიტ ელექტრონიქსს და რომელიც მან არაერთგზის დაარღვია – ბანკს რამდენიმე მილიონიანი ზარალი მიაყენა, რის გამოც, სხვა სამართლებრივ ქმედებებთან ერთად, საჭირო გახდა ელიტ ელექტრონიქსის 55%-იანი წილის/აქციების რეალიზაცია, ხოლო შემდეგ კომპანიის გადასარჩენად სტრატეგიულ ინვესტორზე გასხვისება.**

**რაც შეეხება სამართლებრივ დავას თიბისი ბანკის მიერ აქციების რეალიზაციის კანონიერებასთან დაკავშირებით – თიბისი ბანკს ქოქოლაძესთან სამოქალაქო დავა ჰქონდა 7 წლის წინ. ეს დავა საქალაქო სასამართლოში მან თავად დაიწყო, კერძოდ, აღძრა საქმე თიბისი ბანკის წინააღმდეგ და მოითხოვა იმ ხელშეკრულების ბათილად ცნობა, რომლის საფუძველზეც ელიტ ელექტრონიქსის დაგირავებული აქციების 55% ბანკს გადაეცა საკუთრებაში რეალიზაციისთვის და სასესხო ვალდებულების გასასტუმრებლად.**

**ეს დავა ბანკმა მოიგო სამივე ინსტანციაში. თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ქოქოლაძის სარჩელი, სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება, ხოლო უზენაესმა სასამართლომ ანზორ ქოქოლაძის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო და არ განიხილა.**

**ქოქოლაძის განცხადებები ყოველგვარ კანონიერ საფუძველსაა მოკლებულია და შორს არის ლოგიკური, სალი აზრისგან.**

# ქუთაისის აეროპორტისა და ანაკლიის პროექტის საერთო პერსპექტივები

**2017 წლის ივნისში ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთნაკადი 94 %-ით გაიზარდა. აეროპორტის მენეჯმენტის ცნობით, ტერმინალი 41 812 მგზავრს მოემსახურა. ამასთან, 66 %-ით გაიზარდა აეროპორტიდან განხორციელებული რეისების რაოდენობა და 2017 წლის ივნისის მონაცემები 166 რეისს ითვლის.**

ალსანიშნავია, რომ წლის პირველ ნახევარში ქუთაისის აეროპორტით 185 358 მგზავრმა ისარგებლა. მთლიანი ქვეყნის მასშტაბით ზრდის ეს მაჩვენებელი 49 %-ს შეადგენს, რაც ნათელყოფს, რომ დაბალბიუჯეტიანი კომპანიების მუშაობა ბაზარზე მნიშვნელოვანია.

პარალელურად კი ცნობილი ხდება, რომ ქუთაისის აეროპორტი, შესაძლოა, „ანაკლია სითის“ სატვირთო გადაზიდვებისთვისაც იყოს გამოყენებული. ამის შესახებ „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ ხელმძღვანელმა ქეთი ალექსიძემ გადაცემა „საქმის კურსში“ განაცხადა. ალექსიძის თქმით, „ანაკლია სითის“ პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ქუთაისის აეროპორტის არა მარტო სამგზავროდ, არამედ სატვირთო მიმართულებით გამოყენებაც შეიძლება, რასაც ინფრასტრუქტურული ცვლილებების განხორციელება დასჭირდება.

ამის წინაპირობად, მისი თქმით, ის გამოდგება, რომ **ქუთაისის აეროპორტი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით საკმაოდ მიმზიდველია. ის არის საქართველოს ცენტრში, რაც გულისხმობს იმას, რომ ქუთაისიდან ნებისმიერ წერტილში გადაადგილება სულ რამდენიმე საათში ხელმისაწვდომია. მისივე თქმით, ქუთაისის აეროპორტს პერსპექტივა აქვს და სამომავლოდ, შესაძლოა, მსხვილი გადამზიდავებისთვის ლოჯისტიკურ ცენტრად იქცეს.**

შეგახსენებთ, რომ ანაკლიაში ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობასა და განვითარებასთან ერთად ქალაქ ანაკლიის პროექტის განვითარება იწყება. ქალაქ ანაკლიას კომპანია „ანაკლია სითი“ განავითარებს, რომლის თანადამფუძნებლები „თიბისი ჰოლდინგი“ და „კონტი ჯგუფი“ არიან. იმავე კომპანიებმა დააფუძნეს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ და ანაკლიაში ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობისა და განვითარების პროექტს ახორციელებენ.

რაც შეეხება ანაკლიის პორტთან დაკავშირებულ სიახლეებს, 28 ივნისს ანაკლიის პორტის ოპერირებასთან დაკავშირებით საკონტეინერო ტერმინალის ოპერატორის შერჩევის პროცესი, რომელშიც მსოფლიოს შვიდი დიდი კომპანია მონაწილეობდა, დასრულდა და, „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ გადაწყვეტილებით, პორტის ტერმინალოპერატორი წამყვანი ამერიკული კომპანია SSA Marine გახდა. მსოფლიოს უმსხვილესი სანავსადგურე სატერმინალო ოპერატორის, SSA Marine-ის, სათავო ოფისი სიეტლში მდებარეობს. კომპანიის მფლობელობაშია ტერმინალები მსოფლიოს 9 ქვეყანაში. SSA Marine-ი მსოფლიოს ხუთ კონტინენტზე 250-ზე მეტ სტრატეგიულ ტერმინალზე ახდენს ოპერირებას და წლიურად 27.2 მილიონ კონტეინერს (TEU) ემსახურება. გარდა ამისა, SSA Marine-ი მთელ მსოფლიოში 75 მილიონზე მეტ მშრალ ტვირთს ამუშავებს, ახდენს საკრუიზო გადაყვანებს მექსიკასა და ამერიკაში, ხოლო ამერიკაში 30-ზე მეტ პირველი კლასის ინტერმოდალურ სარკინიგზო მაგისტრალს ამუშავებს.

**ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის საკონტეინერო ტერმინალი 2020 წელს გაიხსნება. ამ დროისათვის „ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ უკვე დაასრულა წინასამშენებლო კვლევები ანაკლიაში და გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტზე მუშაობა. ამჟერად მიმდინარეობს დოკუმენტის საჯარო განხილვა. ამავდროულად, დასრულდა მუშაობა პორტის დიზაინზე და დიზაინის პროექტს კონსორციუმი 2017 წლის 30 ივნისს მთავრობას წარუდგენს. ანაკლიის პორტის სამშენებლო სამუშაოები ანაკლიაში 2017 წლის მეორე ნახევარში დაიწყება.**






**ნინო ევგენიძე**

# ერთ კვირაში გაზი გაძვირდება, წლის ბოლოს – ელექტროენერგია?!

**რუსულმა „ინტერ რაომ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიას ტარიფის გადახედვის განცხადებით მიმართა. შესაბამისად, 7 ნოემბრამდე უნდა გახდეს ცნობილი, დააკმაყოფილებს თუ არა სემეკი მოთხოვნას და გაზრდის თუ არა „ინტერ რაოს“ საკუთრებაში არსებული ხრამჰესების წარმოების ტარიფს. სემეკში ამტკიცებენ, რომ წლის ბოლომდე დენის ტარიფში ცვლილება არ შევა, მაგრამ რა იქნება შემდეგ? ნუთუ კომუნალური გადასახადის ზრდის საკითხი კიდევ ერთხელ დადგება დღის წესრიგში?**



„ხრამჰესების“ ტარიფების გამო, „ინტერ რაომ“ რამდენიმე კვირის წინათ საერთაშორისო სასამართლოს მიმართა და ზარალის ანაზღაურება მოითხოვა. კომპანია მიიჩნევს, რომ ლარის გაუფასურების შედეგად ათეულობით მილიონი დოლარი დაკარგა.

უცნობია, შეიცვლება თუ არა კომპანიის პოზიცია იმ შემთხვევაში, თუ სემეკი მათ მოთხოვნას დააკმაყოფილებს და ტარიფებს გაზრდის.

**ხრამჰესებისთვის ისედაც მაღალი ტარიფებია დადგენილი, რომელიც ინვესტორ კომპანიასთან 2011 წელს დადგინდა. „ხრამჰესი-1“-ის მიერ გამომუშავებული 1 კვტ/სთის ღირებულება 8,2 თეთრია, ხოლო „ხრამჰესი-2“-ის ელექტროენერგია 9,4 თეთრი ღირს. ხელშეკრულების პირობა შეიცავს მუხლს, თუკი ლარი 7%-ზე მეტით გაუფასურდა, ხრამჰესების მფლობელს ტარიფის გადახედვის მოთხოვნის უფლება აქვს. ბოლო 2.5 წლის განმავლობაში კი ლარი დოლართან მიმართებით 36%-ით არის გაუფასურებული.**

ხრამჰესის გენერალური დირექტორი დევი კანდელაკი ამბობს, რომ ტარიფის გაზრდის საჭიროება სწორედ ახლა დაინახეს.

**„ეს ჩვეულებრივი პროცესია და სასამართლო დავასთან კავშირი არა აქვს“, —** განუცხადა „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ კანდელაკმა.

სემეკში კი ამბობენ, რომ გადაწყვეტილებას 17 ნოემბრამდე მიიღებენ.

**„ვნახოთ, როგორი იქნება ტარიფების დეპარტამენტის მოსაზრება. კომპანიამ, უბრალოდ, შემოიტანა სატარიფო განაცხადი და კურსის ცვლილება თუ ინფლაციის მომენტი დაკონკრეტებული არ არის“, —** აცხადებს სემეკის წევრი გოჩა შონია.

ამით მარეგულირებელ კომისიაში ხაზ უსვამენ, რომ სამომხმარებლო ტარიფის გადახედვას წლის ბოლომდე არ გეგმავენ.

ჯერჯერობით ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიას ელექტროენერგიის ტარიფებისათვის არ სცხელა. უახლოეს ერთ კვირაში უფრო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოუწევს. რიგში ბუნებრივი აირის გაძვირების საკითხი დგას. როგორი იქნება მომდევნო თვეებში გაზის სამომხმარებლო ტარიფი მომავალ კვირას გახდება ცნობილი. 17 ივლისის საჯარო სხდომაზე სემეკი შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიისათვის“ ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ტარიფის დადგენის თაობაზე იმსჯელებს.

18 ივლისს კი კომისია განიხილავს შპს „ყაზტრანსგაზ თბილისისთვის“, შპს „სოკარ ჯორჯია გაზისა“ და სს „საქორგგაზისთვის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების, განაწილების, გატარებისა და მოხმარების ტარიფებს.

**2005 წლის 31 დეკემბრის შემდგომ ტარიფები არ გადახედილა. ენერგეტიკოსები მიიჩნევენ, რომ მათი გაზრდის ალბათობა მაღალია. შესაბამისად, დიდი ალბათობით შემოდგომამდე ახალი ტარიფები შევა ძალაში.**

**ბექა დანელია**

# სამშენებლო სექტორი იზრდება

**მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 14 % (55.7 მილიონი დოლარი) მშენებლობის სექტორში განხორციელდა. ინვესტიციების მოცულობით, სამშენებლო სექტორი სიდიდით მეოთხე ადგილზეა, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის (35 %, 141.1 მილიონი დოლარი), უძრავი ქონებით ოპერაციებისა (20 %, 80.3 მილიონი დოლარი) და საფინანსო სექტორის (20 %, 79.6 მილიონი დოლარი) შემდეგ.**

ალსანიშნავია, რომ, 2016 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, 2017 წლის პირველ კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მშენებლობის სექტორში მნიშვნელოვნად, **188 %-ით (36.4 მილიონი დოლარი),** არის გაზრდილი.

2017 წლის პირველ კვარტალში მშენებლობის სექტორის წილი მთლიან შიდა პროდუქტში **9.6 %-ს** შეადგენს. აღნიშნული მონაცემი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 1.8 პროცენტული ერთეულით არის გაზრდილი.

ინვესტიციების ზრდის პარალელურად, გაიზარდა სამშენებლო მიწებზე მოთხოვნაც. „ქოლიერს ინთერნეიშენალ ჯორჯიას“ 2015/2016 წლის ფასების ანალიზის მიხედვით, **2016 წელს, წინა წელთან შედარებით, სამშენებლო მიწებზე მოთხოვნა 39 %-ით არის გაზრდილი.** ამასთან, გაზრდილია (2016 წელს — 191 დოლარიდან 201 დოლარამდე) 1კვ.მ მიწის საშუალო ფასიც. „ქოლიერს ინთერნეიშენალ ჯორჯიას“ მონაცემებით, უბნების მიხედვით გასაყიდი მიწის ფასი ყველგან არ გაზრდილა და ტენდენცია ცვალებადია.

ცხადია, მშენებლობა ვერ განხორციელდება სესხების გარეშე. მიმდინარე წლის 1-ელ კვარტალში მშენებლობის სექტორზე, **ჯამში, 199.7 მილიონი ლარის ოდენობის სესხი გაიცა.**

საკონსულტაციო ცენტრი PMCG-ის ცნობით, ეროვნული ვალუტით მთლიანად გაცემული სესხების მხოლოდ 33 % (66.7 მილიონი ლარი) გაიცა, ხოლო დანარჩენი 67 %, რამაც 133 მილიონი ლარი (კორექტირებული კურსით) შეადგინა, უცხოური ვალუტით არის გაცემული.

მათივე ცნობით, **მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ეროვნული ვალუტით მშენებლობის სექტორზე გაცემული სესხების მოცულობა 42 %-ით (19.7 მილიონი ლარი)** არის გაზრდილი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მაშინ როცა **უცხოური ვალუტით გაცემული სესხები გაზრდილია 24 %-ით (25.9 მილიონი ლარი).**

წინამდებარე მონაცემები ცხადყოფს, რომ მშენებლობის სექტორი განვითარებადია და მნიშვნელოვანი ზრდით ხასიათდება ყველა მიმართულებით, თუმცა, მეორე მხრივ, უკონტროლო მშენებლობები, განსაკუთრებით საქართველოში, სერიოზული პრობლემების საფუძველი გახდა. პრობლემაა სამშენებლო უსაფრთხოებაც. დღეისთვის სიტუაცია მომწიფებულია ამ მიმართულებით ცვლილებების განსახორციელებლად, რამაც მშენებლობის ტემპი შესაძლოა შეანელოს, თუმცა ხარისხისა და უსაფრთხოების გაზრდის ხარჯზე.

**მზია მშვენიერაძე**





# ვანო ზარდიაშვილი: ნიკა გვარამია და „ნაციონალური მოძრაობა“ მარაზმში არიან!

„რასაც „რუსთავი-2“ კადრულობს, ამას უკვე ყველაზე მდაბიო ოროსანი ტელევიზიაც არ კადრულობს, რომ გახდეს ყვითელი პრესა და ვითომ ჩუმად გადაღებული ფოტოებით „ისპეკულანტოს“. იმდენად არარეალურ საკითხებზე მსჯელობენ, უკვე სასაცილოა. მავანთათვის დეპუტატობა იმას ნიშნავს, რომ უარი უნდა ვთქვათ მეგობრებზე, ნათლულებზე, ეკლესიაზე და სახელმწიფოებრივ მოვალეობებზე... ასეთ სახელმწიფოს ვაშენებთ? მე ვერ გამოგადგებით ამ ბინძურ სქემებში!“, — ამ სიტყვებით საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ვანო ზარდიაშვილი ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის მიერ მომზადებულ რეპორტაჟს გამოეხმაურა. როგორც აღნიშნული ტელევიზიის მომზადებულ სიუჟეტშია ნათქვამი, „კურიერმა“ ერთ-ერთ რესტორანში გადაღებული ფოტო მოიპოვა, სადაც ლევან მურუსიძის შემცვლელი გიორგი მიქაუტაძე უმრავლესობის დეპუტატთან ვანო ზარდიაშვილთან და სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესთან მიხეილ ჩინჩალაძესთან ერთად არის აღბეჭდილი. როგორც რეპორტაჟიდან ირკვევა, ერთსაათიანი საუბარი მთაწმინდაზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის წინ შედგა. ზარდიაშვილი „რეპორტიორისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ადასტურებს, რომ შეხვედრა ნამდვილად შედგა, თუმცა არა მთაწმინდის რესტორანში, არამედ სხვა ადგილას და გვერდით მაგიდასთან სავახშმოდ „რუსთავი-2“-ის ერთ-ერთი ჟურნალისტის ყოფნის შესახებ ყვება.

ვანო ზარდიაშვილი: ეს შეხვედრა შედგა არა მთაწმინდის რესტორანში, არამედ რესტორან „კოლხეთში“. გვერდით მაგიდასთან იჯდა „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტი მარიამ გაფრინდაშვილი. მარიამი შესვლისთანავე დავინახე და მივესალმე კიდეც. როგორ ფიქრობთ, როცა ზუსტად ვიცოდი, რომ გაფრინდაშვილი,„რუსთავი-2“-ის ის ჟურნალისტი გახლდათ, რომელიც სასამართლო თემებზე მუშაობს, ჩვენს გვერდით მაგიდასთან იყო და მე ასეთი „საიდუმლო სერობა“ მოვაწყვე? ეს არ იყო ფარული და დახურული სივრცე. ეს შეხვედრა შედგა ღია ტერასაზე, სადაც 600-მდე მოქალაქე იჯდა. არაფერ საიდუმლო სერობაზე არ იყო საუბარი. უბრალოდ, ვვახშმობდით. იმდენი ჭკუა გვყოფნის, რომ თუ რაიმე საიდუმლოზე ვსაუბრობთ, მარიამ გაფრინდაშვილის გვერდით არ ვილაპარაკოთ.

სხვათაშორის, აქვე გეტყვით, რომ 13 ივლისს, ქობულეთში ევროსაბჭოს დაფინანსებით ვიკრიბებით სასამართლო სისტემის რეფორმასა და სტრატეგიებთან დაკავშირებით, სადაც ვიქნებით მეც, ეკა ბესელიაც, გვენეტაძეც, ევროსაბჭოს წარმომადგენელიც, ძირითადი მნიშვნელოვანი პარტნიორები არასამთავრობო ორგანიზაციებიდან და მათი თანდასწრებით ვსაუბრობთ, ვმსჯელობთ არსებულ საკითხებზე, გამოწვევებზე. დასამალი უნდა მქონდეს რამე? მინდა, მოვუწოდო „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტებს და არასამთავრობოებს — გამოუშვან ფოტოგრაფები, ნორმალურ ფორმაში გადაგვიღონ ფოტოები... გიმეორებთ: ეს არ არის დახურული ურთიერთობები. პირადად მე, როგორც იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, მევალება ყველა სახელმწიფო ორგანოს საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა. ამაში პრობლემას ვერ ვხედავ.

მოვუწოდებ პროვოკატორ ნიკა გვარამიას, გამოუშვას თავისი ჟურნალისტები და 13 ივლისის შეხვედრაც გადაიღოს, სადაც ოფიციალურად ვხვდებით და ევროსაბჭო აფინანსებს ჩვენს შეხვედრას. მე დღის განრიგსაც გამოგიგზავნით და გამოაქვეყნეთ, რა შეხვედრაზეც არის საუბარი.

**— თქვენი და თქვენი მეუღლის ირგვლივ ბოლო დროს ძალიან ბევრი ინფორმაცია გავრცელდა. ოპონენტები ხშირად უსვამენ ხაზს თქვენი მეუღლის თანამდებობას, რომელიც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დეპარტამენტის უფროსია. რამდენად იქონია გავლენა თქვენმა ფაქტორმა მის თანამდებობაზე?**

— რაც შეეხება ჩემს მეუღლეს თინათინ აბრალავას, რომელიც შეფასების დეპარტამენტში მუშაობს დღეს და ამაზე აპელირებენ ჩვენი ოპონენტები, არასამთავრობო სექტორი და ნიკა გვარამია. ჩემი მეუღლე მუშაობს იქ უკვე 8-9 წელია. მას ყველაფერი საფეხურ-საფეხურ აქვს გავლილი, სტაჟირებიდან დაწყებული... სხვადასხვა დროს იყო კანცელარიის სპეციალისტი, არქივის თანამშრომელი, წამყვანი სპეციალისტი და ა.შ. მიაღწია დეპარტამენტის უფროსობას. ვიდრე მე სასამართლო სისტემაში დავიწყებდი მუშაობას, თიკა უკვე იქ მუშაობდა. თავის საქმეს აკეთებდა იდეალურად და მასთან მიმართებაში პრეტენზია არავის ჰქონია და რადგან ჩემი მეუღლეა, მუშაობის უფლება არა აქვს თუ როგორაა საქმე?

ნიკა გვარამიას და ნაციონალური მოძრაობის ერთადერთი მიზანია, რომ ხელისუფლება იყოს წარუმატებელი, რომ მათ წისქვილზე დაასხან წყალი, საზოგადოებას მოუნდეს მათი დაბრუნება ხელისუფლებაში. სწორედ ამიტომ, ხელოვნურად ქმნიან შეთქმულების თეორიებს, რომ თითქოს ვიღაცა რაღაცას მართავს და პროცესებშია ჩარეული. რატომღაც გვარამიასთვის არ ყოფილა პრობლემა — როდესაც იგი იყო იუსტიციის საბჭოს წევრი, პავლე კუბლაშვილი იყო იურიდიული კომიტეტის წევრი და კოტე კუბლაშვილი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე! რატომღაც გვარამიასთვის და „რუსთავი-2“-სთვის პრობლემა არ იყო, როდესაც აღნიშნული ტელევიზიის საქმეს გვარამიას მიმართ მაია კოპალეიშვილი იხილავდა და აცილების საფუძველიც კი არ გახდა... რატომღაც პრობლემა არ იყო, რომ ნიკა გვარამიას ჯგუფელი ქეთევან ერემაძე იყო ასევე მისი სასამართლოს მოსამართლე და ესეც არ იყო აცილების საფუძველი... თურმე ჩემი ნაცნობობა და მეგობრობა მოსამართლესთან არის პრობლემა და კანონდარღვევა. სამწუხაროდ, ნიკა გვარამია და „ნაციონალური მოძრაობა“ მარაზმში არიან და ეს სირცხვილია!

**— არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ბრალს გდებენ, თითქოს სასამართლო სისტემის მუშაობაზე გავლენა გაქვთ...**

— იგივე შემიძლია ვთქვათ არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად ისხდნენ კორუმპირებული მამუკა ახვლედიანის გვერდით! დაწერეთ სიტყვასიტყვით: დიახ, ისინი ისხდნენ მამუკა ახვლედიანის გვერდით, რომელსაც 7 მილიონის ქონება უპოვეს და არასამთავრობოებს კითხვის ნიშანი არ გასჩენიათ! ასევე კითხვის ნიშანი არ გასჩენიათ, როდესაც იგივე მამუკა ახვლედიანი ნიკა გვარამიას ეახლა და ანგარიშს აბარებდა მიმდინარე საქმეზე. და ახლა მე იმ ურთიერთობას მაყვედრიან, რომელსაც თავადაც ვაღიარებ. დიახ, ყოველთვის ვამბობდი, რომ მყავს მეგობრები და ძალიან მარტივი მოცემულობაა, რომ დღევანდელი თაობის იურისტები ყველა ვიცნობთ ერთმანეთს — ადვოკატებიც, პროკურორებიც, მოსამართლეებიც, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც და ამაში პრობლემა არ არის.

ვიმეორებ, მარაზმია ეს ყველაფერი! დიახ, ჩემი კარი მუდმივად ღიაა და შემიძლია, ნებისმიერ ადამიანს შევხვდე და გავცე ნებისმიერ კითხვებზე პასუხი!

**ანა ნონიკაშვილი**

## უტიფარი სააკაშვილისგან სხვას რას უნდა ველოდეთ!

**რაც უფრო ხშირად გამოჩნდება მიხეილ სააკაშვილი ტელეეკრანზე, მით უფრო ხშირად გაგვახსენდება, როგორი არ უნდა იყოს ქვეყნის ლიდერი,** — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მამუკა მდინარაძემ განაცხადა.

მისი თქმით, საბედნიეროდ, ჩვენმა ქვეყანამ უმოკლეს დროში შეძლო ავტოკრატიიდან, უსამართლობიდან, კლანური მმართველობიდან გადასულიყო ადამიანზე ორიენტირებულ, დემოკრატიულ, ღია და გამჭვირვალე მმართველობაზე და ჰყოლოდა ლიდერები, რომლებიც ადამიანურობისა და წარმატების მაგალითს იძლევიან.



**ის დღესაც ძველებურად უტიფრად ესაუბრება საზოგადოებას და პირდაპირ ეთერში, თავხედური მეთოდებით ცდილობს, შეურაცხყოფა მიაყენოს კვირიკაშვილსა და კალაძეს. თუმცა, სააკაშვილის გამოჩენით, საუბრით, მისი ნამოქმედარისა და პერიოდის გახსენებით, კიდევ უფრო თვალნათელი ხდება რადიკალური განსხვავება ქვეყნის მაშინდელ და ახლანდელ ლიდერებს შორის,** — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

## სააკაშვილის თავიდან მოშორებას უკვე მეორე ქვეყანა ცდილობს!

**მოკლედ, უკვე მეორე ქვეყანა ცდილობს როგორმე მიხეილ სააკაშვილი თავიდან მოიშოროს,** — ამის შესახებ Facebook-ის პირად გვერდზე მმართველი გუნდის წევრი თამარ ჩუგოშვილი წერს.



მისი თქმით, უკრაინის დელეგაციის წევრები ეხვეწებოდნენ, სააკაშვილს საქართველოს მოქალაქეობა დაუბრუნეთ და მოგვაშორეთ აქედანო.

**„ე.ი. მიშაზე კომენტარები არ ღირს, მაგრამ რადგან თავს გვახსენებს, მაინც დავწერ. პასეს ბოლო სესიაზე უკრაინის დელეგაციის ხელმძღვანელიდან დაწყებული, სხვა წევრებით გაგრძელებული, ყველა გვეხვეწებოდა, ამ კაცს საქართველოს მოქალაქეობა დაუბრუნეთ და მოგვაშორეთ აქედანო (შეგვიძლია, ოფიციალურ თხოვნად ჩავთვალოთ).**

**მოკლედ, უკვე მეორე ქვეყანა ცდილობს როგორმე თავიდან მოიშოროს“,** — წერს ჩუგოშვილი.

## „კორტების სპეცოპერაციის საქმეზე“ ბრალდებული სპეცრაზმელების მიმართ წაყენებული ბრალი გადაკვალიფიცირდა

**არსებული ინფორმაციით, 109-ე განზრახ მკვლელობის ნაცვლად, სპეცრაზმელებს 333-ე უფლებამოსილების გადამეტება ედებათ ბრალად, ამის შესახებ საქმის პროკურორმა ვლადიმერ ვექილიანმა სხდომაზე განაცხადა.**

როგორც ირკვევა, ირაკლი ფირცხალავასა და გიორგი ცააძის მიმართ სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი სპეცრაზმელების ეპიზოდზე მიმდინარე საქმის ახალი მტკიცებულებაა. აღნიშნული შუამდგომლობა საქალაქო სასამართლოში საქმის პროკურორმა დააყენა, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა.

საქმის ამ ეპიზოდზე, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოში მიმდინარეობს, ბრალდებულები არიან სპეცრაზმელები გიორგი გულბიანი, იასონ მილაძე, ალექსანდრე ციმაკურიძე. გამოძიების ვერსიით, 2006 წლის 2 მაისს ზურაბ ვაზაგაშვილი და ალექსანდრე ხუბულოვი სპეცოპერაციის დროს მოკლეს, რომელიც „კორტების სპეცოპერაციით“ არის ცნობილი. ფირცხალავასა და ცააძის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი კი სააპელაციო სასამართლომ 2017 წლის ივნისში დატოვა ძალაში.

პროკურატურის მტკიცებით, სპეცოპერაციის დროს ვაზაგაშვილი და ხუბულოვი სწორედ კრიმინალური პოლიციის ცენტრალური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის ირაკლი ფირცხალავას მიერ მომზადებული შეიარაღებული თავდასხმის შედეგად მოკლეს.



# სიმღერაა მთელი ჩემი ცხოვრება...

**ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარია ხალხის მიერ აღიარებული და ყველა თაობის უსაყვარლესი დიდი კომპოზიტორი, ბატონი ვაჟა აზარაშვილი.**

**— ბ-ნო ვაჟა, 13 ივლისი თქვენი დაბადების დღეა, 81 წლის გადმოსახედიდან როგორ გაიხსენებდით განვლილ წლებს, როგორი იყო აზარაშვილის წუთი... სოფელი?**

— ჩემი ცხოვრება ია-ვარდით მოფენილი არ ყოფილა, რადგან ჩემი ბავშვობა ომის წლებს დაემთხვა. მამა ომში იყო დაკარგული და ამასთან დაკავშირებით მძიმე განცდები მქონდა. დაკარგული იყო და როცა ჩამოვიდა, ეს იყო დიდი სიხარული და ბედნიერება. ისევე როგორც ყველას, ჩვენს ოჯახსაც უჭირდა, ნახევრად მშივრები ვიყავით. მერე, უკვე სტუდენტობის პერიოდიდან უკეთესი დრო დადგა. კონსერვატორიაში მოვხვდი რექტორის იონა ტუსკიას კლასში და ვიღებდი ჩაიკოვსკის სახელობის სტიპენდიას. როცა გავიგე, რომ ჩემს გამოცდას უნდა დასწრებოდა XX საუკუნის უდიდესი კომპოზიტორი დ. შოსტაკოვიჩი, კინაღამ ინფარქტი მივიღე, მაგრამ ხუთი დამიწერა და დიდი მომავალი მიწინასწარმეტყველა. მისი რეკომენდაციით ჩავაბარე ასპირანტურაში. იონა ტუსკიას გარდაცვალების შემდეგ, სწავლა გავაგრძელე ალ. ბალანჩივაძის კლასში. მალე გავხდი კომპოზიტორთა კავშირის წევრი. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, მეორე კურსზე ვიყავი, როცა კომპოზიტორთა კავშირში გამოცხადდა კონკურსი რომანსებზე, გაიცა 5 პრემია და... სამი მე ავიღე. საბჭოთა კავშირის დროს კონცერტები მქონდა რუსეთში და საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში. მერე დავოჯახდი, შემეძინა შვილი, შემდეგ შვილიშვილები.... 80-ს გადავაბიჯე, მაგრამ მშვენიერ ფორმაში ვარ. ეს უკვე ბედნიერებაა.

**— თქვენ აღიზარდეთ ოჯახში, სადაც ეტრფოდნენ ქართულ ხალხურ სიმღერას. ალბათ, ამანაც დიდი გავლენა იქონია თქვენზე.**

— რა თქმა უნდა. მამაჩემს შალვა აზარაშვილს დამთავრებული ჰქონდა კონსერვატორია ვოკალური განხრით და ჰქონდა ძალიან შთამბეჭდავი ხმა, ასევე დედის მხრიდან, ბიძა ცნობილ გუნდში მღეროდა, ბაბუაც ჩონგურზე დაამღერებდა ხოლმე. როცა ვიკრიბებოდით, ჩვენს ოჯახებში მუდამ ისმოდა ქართული ხალხური სიმღერა. ამას ემატებოდა იუმორიც, რითაც დაჯილდოებული იყო მამაჩემის ქვისლი, გურული კაცი, რომელიც პოლკოვნიკი გახლდათ. ასე რომ, ერთ სანახაობად ღირდა ყველაფერი, რასაც ბავშვობიდან ვადევნებდი თვალყურს. ის შთაბეჭდილებები ყოველთვის ჩანს ჩემს შემოქმედებაში, როგორც სიმფონიურ-კამერულ მუსიკაში, ასევე სასიმღერო ჟანრში. ქართველებს გაგვაჩნია უნიკალური ფოლკლორი და ამის გვერდზე გადადება, დანაშაულია. რა თქმა უნდა, არ უნდა იყოს ციტირება. მე მაქვს ჩემი სტილი, ვცდილობ ხოლმე, რომ მუსიკა იყოს ეროვნული, ისე რომ, ქართველებსაც მოსწონდეთ, უცხოელებსაც და ამავე დროს იყოს თანამედროვეც.

**— რამდენი წლის ასაკში დაწერეთ პირველი ნაწარმოები?**

— მეხუთე-მეექვსე კლასში ვიყავი, როცა დავიწყე წერა. ამ ასაკში უკვე ვიცოდი, რომ მუსიკოსი გავხდებოდი. მერე იყო კონკურსები და გამარჯვებები. იმ წლებს დიდი სიხარულით და სიამაყით ვიხსენებ. ხშირად აძაგებენ საბჭოთა პერიოდს. მართალია, უამრავი ცუდი რამ ხდებოდა, მაგრამ ხელოვან და ნიჭიერ ადამიანებს ხელს მართლა უწყობდნენ. სანამ საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა, უმაღლესი შკალით მიდებდნენ ხელშეკრულებებს, ოღონდ გვემუშავა და მისი გასაღების და მსმენელისთვის მიწოდების პრობლემა არ იყო. სწორედ, საბჭოთა კავშირის წყალობით გავიდა ჩემი ნაწარმოებები საზღვარგარეთაც. კომპოზიტორი შემოსავლის 5% იღებდა, მაშინ ეს დიდი ფული იყო. თუ ფილმისთვის დაწერდი მუსიკას, საკმაოდ კარგ ანაზღაურებასაც მიიღებდი. ერთი სიტყვით, მუსიკოსი მთლიანად ხელოვნებას ემსახურებოდა, შემოქმედებითად ცხოვრობდა და იმაზე არ ნერვიულობდა, ოჯახს რა ვაჭამო და სტუმარს როგორ გავუმასპინძლდეო. მე პირადად, დღეს ბიძინა ივანიშვილი რომ არ მყავდეს, მშიერი მოვკვდებოდი. ამ ადამიანის დახმარებით ოჯახსაც ვარჩენ და კომპაქტდისკებსაც ვუშვებ.

**— რა არის თქვენთვის მუსიკა და როგორ იბადება თქვენი სიმღერები?**

— მუსიკა ჩემი ცხოვრებაა. ეს არის ჩემთვის უდიდესი შვება და ნუგეში. სიმღერაც მაქვს ასეთი: „სიმღერაა მთელი ჩემი ქონება“. ამაზე დიდი ბედნიერება რა შეიძლება იყოს, როცა შენი მუსიკა ცოცხლობს ხალხში, უყვართ და მოსწონთ. მუსიკა მახალისებს, მმატებს რწმენას იმისას, რომ ტყუილად არ მიცხოვრია ამ ქვეყანაზე. რაც შეეხება სიმღერის დაბადებას, თითოეულ სიმღერას თავისი ისტორია აქვს. მახსენდება 70-იანი წლები, როცა მე და ჩემი მეგობარი მუსკომედიის მსახიობი ნოდარ პიპინაშვილი უკრაინაში გავემგზავრეთ ზაპოროჟეცით ნოდარის ბიძასთან. ჩვენი სტუმრობა ძალიან გაუხარდა და პურმარილიც გაიშალა. დღემდე ყურში მაქვს იმ კაცის ნამღერი ქალაქური სიმღერები. იქიდან წამოსულმა, მანქანაშივე დავწერე მელოდია, ხოლო ლექსი ამ მელოდიისთვის შემდეგ პეტრე გრუზინსკიმ დაწერა. გადავწყვიტეთ, რომ ეს ყოფილიყო აღმოსავლური ქალაქური სიმღერა. იმ პერიოდში ანსამბლი „ორერა“ პოპულარობის ზენიტში იყო. მათთან ერთად შეასრულა ქ-მა ნანი ბრეგვაძემ ეს სიმღერა პირველად. სწორედ ნანიმ შეასრულა ჩემი პირველი სიმღერა, რომელიც გალაკტიონ ტაბიძის ლექსზე დავწერე: „შენ მეგულები“, რომელიც შემდეგ გამოიყენეს ფილმში „ორერა სრული სვლით“ . მრავალი სიმღერა მაქვს დაწერილი ნანისთვის: ხევსურული ბალადა“, „ისევ წვიმს“, „ლოცვა“, „დაკარგული სიყვარული“, „მზე ჩემი კარგი მეგობარია“ და სხვ.

ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი ვარ. 1976 წელს, როცა „დინამომ“ მოუგო „არარატს“ 3:0, მღელვარებისგან მთელი ღამე არ მიძინია, რა დამაძინებდა და იმ ღამეს დავწერე „დინამო“, რომელიც შემდგომ ქართული ფეხბურთის ჰიმნად იქცა და ასრულებდა ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლი „ივერია“. ფეხბურთის სიყვარულმა დამაწერინა აგრეთვე მუსიკა ფილმისთვის „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს“, რომლის ტექსტის ავტორი გახლავთ მ. ფოცხიშვილი. სხვათაშორის, ამ ფილმმა გრან-პრი მიიღო იტალიაში.

არაერთი სიმღერა მაქვს დაწერილი ეთერ კაკულიასთვის, ნანული აბესაძისთვის. მორის ფოცხიშვილის ლექსზე დავწერე სიმღერა „მუსიკა-ლოცვა“. რომელიც თამარ გვერდწითელს მივუძღვენი. ბატონ გ. მუხაშავრიას მივუძღვენი სიმღერა „ავლაბარო“, რომელსაც ეთერ კაკულია და ნიკო ჯადუგიშვილი ასრულებდნენ. ჩემს სიმღერებს მღერიან ასევე მერაბ სეფაშვილი, ირმა სოხაძე, გენო ნადირაშვილი. გვყავს ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა მომღერლები.

**— შეკვეთითაც წერთ?**

— მრავალი წლის წინათ მე და მორის ფოცხიშვილს შეგვიკვეთეს სიმღერა „ქსოვრელები მღერიან“, რომელიც დღეს ძალიან პოპულარულია. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეზე მაქვს დაწერილი სიმღერები. ბევრი სიმღერა მივუძღვენი ჩემს თბილისს.

თბილისში არსებობდა ფოლკლორული ანსამბლი „კავკასიური“, ძალიან მომწონდა მათი სიმღერები. ქართული სუფრა წარმოუდგენელია ქალაქური სუფრული სიმღერების გარეშე. საიათნოვა სამ ენაზე წერდა, ეს ჯერ კიდევ როდიდან მოყოლებული ტრადიციაა. როგორ შეიძლება ეს ვინმეს არ მოსწონდეს.

**— მრავალი კლასიკური და საესტრადო სიმღერების გარდა, შვიდი ოპერეტა და ბალეტი „ხევისბერიც“ გაქვთ შექმნილი.**

— ბალეტი „ხევისბერი“ ბექარ მონავარდისაშვილმა დადგა ქუთაისში და დიდხანს გადიოდა. მაშინ სულხან ცინცაძე იყო საოპერო და საბალეტო სექციის ხელმძღვანელი. ონისეს და ძიძიას სცენა რომ არის, მითხრა, ძალიან კარგია, მაგრამ გაადიდეო და მართლაც გავადიდე. ალ. შავერზაშვილმა მითხრა, იცით? მე აქ გუნდი მესმისო, მართლაც 4ადგილას ჩავსვი გუნდი და იმ სცენაში, როცა ხევისბერი კლავს შვილს, გუნდის ტრაგიკული ხმები ისმის. ახლა ვერ წარმომიდგენია ეს ბალეტი გუნდის გარეშე. აი, ასეთი კეთილი რჩევებიც მიმიღია. ბედნიერი ვარ, რომ ისეთი ბუმბერაზი კომპოზიტორების გარემოცვაში მიხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა, როგორებიც იყვნენ ო. თაქთაქიშვილი, ალ. მაჭავარიანი, ანდ. ბალანჩივაძე, ბიძინა კვერნაძე, რ. ლაღიძე, შ. მშველიძე, ს. ცინცაძე და სხვ.

რაც შეეხება ჩემს ოპერეტებს, „კახე-



ლები ბამზე“ რომ გადიოდა, ბილეთს ვერ იშოვიდით.

გიგა ლორთქიფანიძემ დადგა „მეჩექმე გაბო“, სადაც მთავარ როლს თამაშობდა უნიჭიერესი მსახიობი ბადრი ბეგალიშვილი.

რატომღაც მოინდომეს ახალი თეატრის აშენება და ისეთი ძვირი ჯდება, რომ ვერ ამთავრებენ რემონტს და ფოიეში მიდის ყველაფერი.სამწუხაროდ, ქართველი კომპოზიტორები დაივიწყეს და აქვთ მხოლოდ უცხოური სიუჟეტები. მუსკომედიაში ყველა დადიოდა, ვისაც ქართული კომედია უყვარდა. არავისი მერიდება, ყველას პირში ვეტყვი სათქმელს, მიხედონ და ცოტა ეროვნული გახადონ ეს თეატრი.

**— ბ-ნო ვაჟა, მინდა, ცოტა ადრეულ პერიოდს დავუბრუნდეთ, როცა თქვენი დებიუტი საფორტეპიანო ტრიოთი შედგა. შემდგომ იყო თქვენი კონცერტები ვიოლონჩელოსა და ალტისთვის, რომელსაც საოცრად ასრულებს ბ-ნი ელდარ გეწაძე.**

— როცა ვწერდი ამ ნაწარმოებს, ელდარი მყავდა მხედველობაში, ვიცოდი მისი ძლიერი მხარე. ამ ნაწარმოებს იგი ხშირად ასრულებს სხვადასხვა ქვეყანაში.

შარშან ბათუმის სიმფონიურმა ორკესტრმა დავით მუქერიას დირიჟორობით სეასრულა ჩემი სიმფონიური ნაწარმოები.

**— ბ-ნო ვაჟა, ყველა ჯილდო გაქვთ მიღებული, რაც კი არსებობს. 11 წელი კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე ბრძანდებოდით...**

— ვიცოდი, რა სირთულეებიც იყო. მაგრამ მაინც დავთანხმდი. როცა სახელმწიფომ შეგვიწყვიტა დოტაცია, თუ რამის გაქირავება შეიძლებოდა, ჩვენს ტერიტორიას ვაქირავებდით და ვინც ხანშიშესული იყო, პენსიებიც დავუნიშნეთ. ვატარებდით კონცერტებს. ბორჯომის კომპოზიტორთა სახლში ლიანა ისაკაძე ატარებდა კონცერტებს, ჩამოჰყავდა უდიდესი შემსრულებლები, გვქონდა ფესტივალები, კონკურსები, აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებით ვცხოვრობდით, თან ვმუშაობდით, თან ვისვენებდით. სრულიად უსინდისოდ და უსამართლოდ წაგვართვეს ეს შენობა. ეს იყო ყოფილი მთავრობის დიდი დანაშაული. რამდენჯერმე გამოვედი ტელევიზიით და მივმართე მათ, ვისაც ეკუთვნოდა და ახლაც გავიმეორებ — ეს შენობა არის აშენებული ჩვენი თანხებით, ერთი მანეთიც კი არ იყო რესპუბლიკის. მოხდა უკანონობა და ეკონომიკის სამინისტრომ დაიმტკიცა. სად იყო სასამართლო, რას დაუმტკიცებდი? და დღემდე ასეა. სამჯერ იყო აუქციონზე, ვერ გაყიდეს, ჩამოდის წყალი, ყველაფერი იშლება, დაცვა კი არის, მაგრამ კაცმა არ იცის, ინსტრუმენტები რა მდგომარეობაშია, ალბათ, იქურდება კიდეც. ჩვენ ყველამ, სახალხო არტისტებმა, რუსთაველის პრემიის ლაურეატებმა მოვაწერეთ ხელი და მივმართეთ სათანადო ორგანოებს და გაურკვეველი პასუხი მივიღეთ. თუ ვერ გაერკვიეთ, დაგვიბარეთ და საბუთებს დაგიდებთ, რომ ეს სახლი ჩვენი თანხებითაა აშენებული. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გაკეთდეს რამე, რომ ამ უმსგავსობას ბოლო მოეღოს.

**— დღევანდელ ქართულ ესტრადაზე რა იტყოდით?**

— არ მივტირი იმ წარსულს, მაგრამ რაც დადებითი იყო, უნდა ითქვას: ტელევიზიაში იყო რედაქცია, სიმფონიური ორკესტრი, ხალხურ-საკრავთა ორკესტრი და იყო საესტრადო ორკესტრი.ასრულებდნენ და ვწერდით ნაწარმოებებს. 3 დისკი მაქვს გამოშვებული, ეს არ იყო პრობლემა.ჩვენ ხშირად გვსაყვედურობენ, რომ არ იწერება ახალი ქართული სიმღერები. უამრავი სიმღერა გვაქვს დაწერილი მე და ჩემს კოლეგებს და გვიდევს. არანჟირებას ფული უნდა, სტუდიის დაქირავებას ფული უნდა და ძალიან ძვირი ჯდება.რამდენჯერ მიმიცია შემსრულებლისთვის უფასოდ სიმღერა, მაგრამ ფული არ აქვს და ვერ წერს.

უკვე 20 წელზე მეტია, რაც დამოუკიდებლები ვართ და მე დღეს მინდა, მივმართო მათ, ვისაც ეს საკითხები ეხება, გინდ გეწყინოთ, გინდ არა, ჯიპებზე და პრემიებზე კი ნუ ფიქრობთ მხოლოდ, იმაზე იფიქრეთ, რომ ამ ქვეყანაში ბევრი ნიჭიერი ადამიანია, ვისაც შეუძლია წერა, მაგრამ თაროებზე უდევთ ნოტები. პროფესიონალები ამიტომ ჩრდილქვეშ არიან. გეფიცებით, მე რომ ძალიან არ მიყვარდეს ჩემი ქვეყანა, თბილისი, ჩემი კულტურა, მეგობრები, ნათესავები, თუნდაც ქართული ტრადიციები, აუცილებლად წავიდოდი, თუნდაც მოსკოვში და იქ ყველა პირობა მექნებოდა, მაგრამ არ შემიძლია საქართველოსა და თბილისის გარეშე, ვერ ვიცოცხლებ.

ყველა ჯილდო მაქვს მიღებული, მაგრამ ჩემი ხალხის ალალად დაკრულ ტაშს, ვერცერთი ჯილდო ვერ შეედრება. ჩემი სიმღერებით მთელი საქართველო მაქვს შემოვლილი და ახლაც დავდივართ.

**— მიუხედავად ასაკისა, ძალიან ენერგიული ბრძანდებით და საოცრად გიჟღერთ ხმა.**

— დიდი ენერგია მაქვს, სულ ვმუშაობ, რაც შეეხება ჩემს ნამღერს, მიუხედავად იმისა, რომ მომღერალი არ ვარ, მგონი, არცთუ ისე ურიგოდ ვმღერი(იცინის).

**— განტვირთვას როგორ ახერხებთ?**

— ჩვენთან ახლოს გვაქვს ბაღი, დილაობით იქ ჩავდივარ, ცოტას ვვარჯიშობ, დომინოს ვთამაშობთ ხოლმე. ჩემი იუმორი მშველის, იქ ყველას ზედმეტი სახელები შევარქვი და ყველა მე მგულშემატკივრობს, რომ მოვიგო.

ბოლო წლებში ბევრი ახლო მეგობარი დავკარგე ჩემი მერაბ დონაძის მიყოლებით... და ეს ძალიან მისევდიანებს გულს, ძალიან განვიცდი.

**— და ბოლოს, გვერდს ვერ ავუვლით თქვენს შესანიშნავ ოჯახს...**

— მყავს მეუღლე, მანანა დანგაძე, პროფესიით მუსიკის პედაგოგი, წერს შესანიშნავ ლექსებს... მის ლექსებზე დაწერეს სიმღერები მ. კვალიაშვილმა, ნ. დუღაშვილმა, ო. ტატიშვილმა, შ. დავითაშვილმა, გ. ჩლაიძემ, მაცაცო სეფისკვერაძემ, ვაჟა დურგლიშვილმა და სხვ.

ქალიშვილი ნათია წამყვანი კონცერტმეისტერია ოპერისა და ბალეტის თეატრში და კონსერვატორიაში, მყავს ორი შვილიშვილი — თეკლა და ლევანი.

P.S. — დღევანდელი ინტერვიუ მინდა, ქ-ნი **მანანა დანგაძის** შესანიშნავი ლექსით დავასრულო, რომელიც მან მეუღლეს მიუძღვნა:

**მე შენ არ ამირჩევიხარ, ღმერთმა**
**გაკურთხა ჩემად,**
**ვარ შენი ვაზის ნაცრემლი, ხატზე**
**მძივად რომ რჩება.**
**შენ ჩემი ბედისწერა ხარ, ჩემი გზა**
**შენს გზას მისდევს,**
**ლხენა და აღმაფრენა ხარ, ფიქრებს**
**გიწყვილებ ისევ...**

ესაუბრა **ირინა ტატიშვილი**

**2008 წლის ომის შემდეგ უკვე თითქმის 9 წელი გავიდა. დრო თავის საქმეს აკეთებს, სოციალურ-ეკონომიკური თუ სხვა სახის ყოველდღიური პრობლემები — თავისას...**

**კონფლიქტების მოგვარების თემამ ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის აქტუალურობით არათუ მეორე, მე-5-მე-6 პოზიციებზე ჩაინაცვლა. არადა, კვლავინდებურად არსებობს საქართველოს მოქალაქეების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლისთვისაც ომი დღემდე არ დასრულებულა. ვგულისხმობთ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებს. მათი ნაწილი — ოკუპირებულ რეგიონებში, ნაწილიც ე.წ. სასაზღვრო ზოლის მიმდებარე ტერიტორიებზე ცხოვრობს. უმძიმესი პირობების მიუხედავად, ეს ადამიანები ადგილებზე რჩებიან, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბევრი სხვა მოქალაქისგან განსხვავებით, ისინი სრულად ინარჩუნებენ ეროვნულ სულისკვეთებას, პატრიოტიზმსა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის იმედს. რამდენად ხშირად გვახსენდება ეს ადამიანები? რამდენად დაფასებულია მოსახლეობის ეს ნაწილი სახელმწიფოს მხრიდან? რა კეთდება მათ დასახმარებლად და რა არის კიდევ გასაკეთებელი? — ამ კითხვებზე პასუხების ნაწილს კონფლიქტის ზონებში ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშში ვპოულობთ.**

# რა ეშველებათ იმათ, ვისთვისაც ომი ჯერ არ დასრულებულა?!

**უსაფრთხოების თვალსაზრისით ვითარება დამძიმდა**

კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში **მედეა ტურაშვილი** სახალხო დამცველის მთავარი მრჩეველი ამბობს, რომ მთელი გასული წლების განმავლობაში პირველად, 2016 წელს, წინა წლებთან შედარებით, უსაფრთხოების კუთხით ვითარება დამძიმდა.

— კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა წლების განმავლობაში სტაბილურად მძიმე იყო და, სამწუხაროდ, ასეთად რჩება დღესაც. თუმცა 2016 წელს დამძიმდა ვითარება საკუთრივ უსაფრთხოების კუთხით. კერძოდ, წინა წლებისგან განსხვავებით, 2016-ში გვქონდა რამდენიმე ძალიან მძიმე ინციდენტი: ადამიანთა მკვლელობის, გაუჩინარების, გრძელვადიანი დაკავების. მოგეხსენებათ, დაკავებები, ზოგადად, მოკლევადიანია — რამდენიმე დღეში ადამიანს ათავისუფლებენ ხოლმე, მაგრამ 2016 წელს გვქონდა შემთხვევა, როცა **20-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს ადგილობრივ მკვიდრს, რომელსაც თავდაპირველად გამყოფი ხაზის გადაკვეთას ედავებოდნენ, ხოლო შემდეგ ბრალი დაუმძიმეს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, 2016 წელი სახალხო დამცველის ანგარიშში შეფასდა, როგორც მძიმე უსაფრთხოების კუთხით** — განმარტავს მედეა ტურაშვილი.

სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, ზოგადად, დაკავებების რაოდენობა სტაბილურად მაღალია. ჯამური წლიური სტატისტიკა აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან ე.წ. გამყოფი ხაზებიდან ასე გამოიყურება: **2011 წელს — 224 დაკავება, 2012 წელს — 300; 2013 წელს — 532; 2014 წელს — 517; 2015-ში — 504; 2016-ში — 327**.

როგორც მედეა ტურაშვილი განმარტავს, ადამიანთა დაკავების 2016 წელს აღრიცხული შემთხვევების რაოდენობის დაახლოებით ნახევარი მოდის ე.წ. სამხრეთ ოსეთზე, ნახევარი — აფხაზეთზე, თუმცა აფხაზეთის მიმართულებით დაკავებულთა სრულ რაოდენობას საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები ვერ აღრიცხავენ, რადგან ადამიანებს, როგორც წესი, ოკუპირებულ ნაწილზე აკავებენ და შესაბამისი ინფორმაცია ყოველთვის ვერ აღწევს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან.

**ჯანდაცვის თვალსაზრისითაც უმძიმესი მდგომარეობაა, რომლის გამოც ადამიანები სეპარატისტების ციხეებში ხვდებიან**

ომბუდსმენის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ ორივე ოკუპირებულ რეგიონში ჯანდაცვის ინფრასტრუქტურა უკიდურესად მოუწესრიგებელია და სფერო ადგილობრივ მოსახლეობას მხოლოდ ელემენტარულ, საბაზისო სამედიცინო მომსახურებას სთავაზობს. ამის გამო მოსახლეობა ხშირ შემთხვევაში ამჯობინებს, გადმოკვეთოს გამყოფი ხაზები და იმკურნალოს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.




ამ პრობლემის გათვალისწინებით, სახალხო დამცველს რამდენიმე კონკრეტული რეკომენდაცია აქვს მომზადებული, მათ შორის — გარკვეული აღჭურვილობის შეთავაზება ოკუპირებული მხარისათვის, ექიმების გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება და მათი გარკვეულწილად მატერიალური მხარდაჭერა. მაგრამ არის რეკომენდაცია, რომელსაც ომბუდსმენის აპარატი უკვე მესამე წელია, აძლევს საქართველოს ხელისუფლებას და შედეგი ჯერჯერობით არ ჩანს:

— ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება სთავაზობს ჩართვას რეფერალურ პროგრამაში, რომელიც მათ უფასოდ მკურნალობას გულისხმობს. თუმცა ეს პროგრამა არ ეხება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირებს: როგორც ხელისუფლება განმარტავს, ისინი, ისევე, როგორც საქართველოს ყველა დანარჩენი მოქალაქე, სარგებლობენ საყოველთაო დაზღვევის პროგრამით და, შესაბამისად, ერთდროულად ორი პროგრამით ვერ ისარგებლებენ. ამდენად, ფაქტობრივად, იძულებითი წესით მათთვის განსაზღვრულია საყოველთაო დაზღვევა. თუმცა, როგორც ყველას მოგვეხსენება, საყოველთაო ჯანდაცვის დაფინანსება არ არის სრული — იგი თანადაფინანსებას გულისხმობს, რაც ხშირ შემთხვევაში იგივე გალის რაიონის მცხოვრებთათვის ძალიან პრობლემურია. ჩვენ გვქონდა, მაგალითად, შემთხვევები, როდესაც ადამიანები დახმარებას ითხოვენ 500 ლარის ოდენობის თანადაფინანსების საჭიროების გამო, ანუ მათთვის ეს თანხაც კი რთული მოსაძიებელია. ჩვენ ვამბობთ, რომ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს თანაბარი მიდგომა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა პირის მიმართ, განურჩევლად მათი საბუთების ტიპისა და ისინი თანაბრად უნდა ჩაერთონ რეფერალურ პროგრამაში.

მედეა ტურაშვილის ინფორმაციით, ამ პრობლემის გადასაჭრელად შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატიც აქტიურად მუშაობს, თუმცა ჯერჯერობით ისიც ჩვენსავით მოლოდინის რეჟიმშია.

**მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება**

ის, რომ აფხაზეთში ეთნიკური ქართველების უფლება, მშობლიურ ენაზე მიიღონ განათლება, დარღვეულია, სიახლეს არ წარმოადგენს. ეს პროცესი 2005 წლიდან დაიწყო, 2015 წლიდან კი ბოლო რამდენიმე სკოლაც, სადაც დაწყებით კლასებში ქართულ ენაზე სწავლება ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო, სრულად რუსულენოვან სწავლებაზე გადავიდა. ეს იმ ფონზე, რომ იმავე გალის რაიონში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი საკუთარი თავის ქართულ ეროვნებასთან იდენტიფიცირებას ახდენს, აფხაზეთში მცხოვრები სხვა ეროვნებების (სომხები, რუსები, აფხაზები) ადამიანებს კი მშობლიურ ენაზე სწავლის შესაძლებლობა აქვთ.

მედეა ტურაშვილი ამბობს, რომ ზემოთქმულის გათვალისწინებით, აქ უკვე შეგვიძლია, ვისაუბროთ ეთნიკურ დისკრიმინაციაზე და უფლებების დარღვევაზე, როგორც ფაქტზე.

— აღნიშნულ საკითხს მუდმივად ავსახავთ ჩვენს ანგარიშებში სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, დიალოგის სხვადასხვა ფორმატებში ვაყენებთ თავად აფხაზური მხარის წინაშეც და, სხვათა შორის, აფხაზეთში უკვე არსებობს აღქმა იმისა, რომ საკითხი ნამდვილად პრობლემურია. მეტსაც გეტყვით, გარკვეულ ჯგუფებში უკვე შეექმნათ განცდა, რომ ეს ნამდვილად უფლებების დარღვევაა და მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ განათლების მშობლიურ ენაზე მიღების უფლება. თუმცა ამ ეტაპზე ჩვენ, სამწუხაროდ, ჯერ ვერ ვხედავთ რაიმე კონკრეტულ ნაბიჯებს, რომელიც იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ დე ფაქტო ხელისუფლება ამ მიმართულებით რაიმეს შეცვლას აპირებს. და, ჩვენი შეფასებით, აქ რუსეთის პასუხისმგებლობის საკითხიც იკვეთება, როგორც ქვეყნისა, რომელიც ამჟამად ეფექტურ კონტროლს ახორციელებს ამ ოკუპირებულ ტერიტორიაზე — აღნიშნავს სახალხო დამცველის მთავარი მრჩეველი.

რაც შეეხება ცხინვალის რეგიონს, კერძოდ, ახალგორის რაიონს, სადაც ძირითადად ქართულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობს და ქართული სკოლები მოქმედებს, იქ ქართულ ენაზე სწავლება ჯერჯერობით შენარჩუნებულია, თუმცა „პრეზიდენტის" თანამდებობაზე ანატოლი ბიბილოვის მოსვლის შემდეგ დე ფაქტო ხელისუფლებამ უკვე განაცხადა იმის შესახებ, რომ ამ მიმართულებით შესაძლოა, ცვლილებები განხორციელდეს და მაგალითად სწორედ აფხაზურ მოდელს ასახელებს.

**კონფლიქტურ ზონებში მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ბორდერიზაცია**

2008 წლის ომმა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მოსახლეობის მდგომარეობა დაამძიმა, შემდგომში დაწყებული მავთულხლართების გავლების პროცესი კი მას ყოველ ჯერზე კიდევ უფრო ართულებს. ბორდერიზაცია ხელს უშლის მოსახლეობას 2 ძირითადი მიმართულებით: უსაფრთხოება (ე.წ. საზღვრის გადაკვეთის ბრალდებით დაკავებები) და წვდომის დაკარგვა საკუთარ მიწებზე, რომლებიც ადგილობრივთათვის შემოსავლის მთავარი წყაროა, მით უფრო — საჯარო დაწესებულებებში დასაქმების უაღრესად დაბალი მაჩვენებლის პირობებში.

ამას ემატება სარწყავი წყლის პრობლემაც: სარწყავი წყალი ზოგან 1990-იანი წლების შემდეგ არ იყო, ხოლო იქ, სადაც არსებობდა, 2008 წლის ომის შემდეგ გადაიკეტა.

როგორც სახალხო დამცველის აპარატში აღნიშნავენ, ქართულმა სახელმწიფომ იქ, სადაც მოსახლეობა მავთულხლართების გავლების შედეგად დაზარალდა, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განახორციელა. კერძოდ, 2013-2016 წლებში დაახლოებით 50-მდე სოფელში დაჩქარებული წესით დასრულდა გაზიფიცირება, გზების შეკეთება, ზოგ სოფელში — სარწყავი და სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია; გარკვეული სამუშაოები ჩატარდა სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, თუმცა დასაქმების უმთავრესი პრობლემა ამას, ცხადია, არ გადაუჭრია.

**ომის შედეგად დაზიანებული სახლების აღდგენისა და მიყენებული ზარალის კომპენსაციის პრობლემები**

მიუხედავად იმისა, რომ ომის შემდეგ უკვე თითქმის 9 წელი გავიდა, საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლებისა და მოსახლეობისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის პრობლემები დღემდე აქტუალურია, განსაკუთრებით — რამდენიმე სოფელში.

მათ შორის არის გორის რაიონის სოფელი ზარდიაანთკარიც, სადაც მიზეზთა გამო საერთოდაც კურიოზული ვითარებაა შექმნილი: სახელმწიფომ მოახდინა გაზიფიცირება, გაიყვანა გზები, წყლის სისტემა, თუმცა სახლები ამ დრომდე არავის აღუდგენია და, შესაბამისად, მოსახლეობა ადგილზე მაინც ვერ ბრუნდება.

**— ეს სოფელი კიდევ ერთი მაგალითი და დასტურია იმისა, რომ ინფრასტრუქტურულ პროექტებს რომ კონკრეტული ეფექტი ჰქონდეს, ისინი კონკრეტული მოსახლეობის კონკრეტულ საჭიროებებზე უნდა იყოს მორგებული** — ამბობს მედეა ტურაშვილი.

ამგვარად, რომ შევაჯამოთ, არაერთი საკითხი მოგვარდა, თუმცა ომის დასრულებიდან 9 წლისთავზე პრობლემა კიდევ ბევრია. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი არცთუ მდიდარი სახელმწიფოსთვის რეალურად რთული გადასაჭრელია და ამ თვალსაზრისით, პრობლემების დღემდე არსებობას მართლაც ობიექტური მიზეზები აქვს. თუმცა არსებობს იმგვარი საკითხების სპექტრიც, რომელიც გადაჭრადია შესაბამისი ნების, მეტი პასუხისმგებლობისა და მონდომების პირობებში. ინფორმაცია ამ პრობლემების შესახებ ყველასთვის ხელმისაწვდომია, მათ შორის — ომბუდსმენის ანგარიშების სახითაც.

**ჯაბა აფხაიძე,**
**„აქცენტი"**

# ვადის გაგრძელება ინტერესის გამოსახატავად

**საქართველო**

**შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი**

სესხის №8402-GE

პროექტის **N P148048**

**დავალების სახელწოდება: იმერეთის და შიდა ქართლის რეგიონებში გზის მცირე მასშტაბის საგზაო უსაფრთხოების ღონისძიებების განსახორციელებლად დეტალური პროექტის და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება**

კონტრაქტი/ **RFP #** SLRPIII/CS/CQS-04

საქართველომ მსოფლიო ბანკს მიმართა **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის** დასაფინანსებლად. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში საკონსულტაციო მომსახურების ღირებულების ასანაზღაურებლად.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი აღნიშნული მომსახურების გასაწევად ინტერესის გამოხატვისთვის იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს (კონსულტანტებს) შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების ("მომსახურება") გასაწევად: **„იმერეთის და შიდა ქართლის რეგიონებში გზის მცირე მასშტაბის საგზაო უსაფრთხოების ღონისძიებების განსახორციელებლად დეტალური პროექტის და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება“.**

საკონსულტაციო მომსახურების სავარაუდო ხანრგძლივობაა **90 დღე**.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესთა გამოხატვის წერილს თან უნდა დაერთოს შემდეგი: კონსულტანტის კორპორატიული პროფაილი და შესაბამისი გამოცდილება დავალებასთან მიმართებაში.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუცქიისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, „კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას 1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:

http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1490604057

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება **კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაყრდნობით შერჩევის მეთოდით** მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება, 2011 წლის იანვარი, განახლებული 2014 წლის ივლისში.

დაინტერესებულ კონსულტანტებს უნდა გააჩნდეს საგზაო პროექტების პროექტირების და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების გამოცდილება.

**მოკლე სიაში მოხვედრის კრიტერიუმია:**

- ზოგადი გამოცდილება დეტალური პროექტისა და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებაში ბოლო 5 წლის განმავლობაში (დავალებები დამთავრებული 2012 წელს და/ან მას შემდეგ);
- სპეციფიური გამოცდილება საგზაო ინფრასტრუქტურისთვის დეტალური პროექტის მომზადების გამოცდილება, რომელიც მოიცავს საგზაო უსაფრთხოების ღონისძიებებს ბოლო 5 წლის განმავლობაში (დავალებები დამთავრებული 2012 წელს და/ან მას შემდეგ);

შეფასებისას მოხდება მხოლოდ წარმატებით დასრულებული დავალებების გათვალისწინება.

*საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.*

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ იმეილზე: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე (პირადად, ფოსტის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით) არა უგვიანეს **2017 წლის 20 ივლისის, 17:00 საათისა.**

სახელი: გიორგი სეთურიძე

პოზიცია: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი №12

ელექტრონული ფოსტა: info@georoad.ge

ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# TIME EXTENSION FOR EXPRESSION OF INTEREST

**Georgia**

**Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII)**

**Credit/Loan No:** IBRD 8402-GE

Project No. P148048

**Assignment Title: The Preparation of Detailed Design and Bidding Documents for Small – Scale Road Safety Improvements in Imereti and Shida Kartli Regions**

Contract/RFP No: SLRPIII/CS/CQS-04

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Third Secondary and Local Roads Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultants to express their interest in providing the following services: **"The Preparation of Detailed Design and Bidding Documents for Small Scale Road Safety Improvements in Imereti and Shida Kartli regions".**

Estimated duration of assignment is **90 days.**

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (***Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association*** ) to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on www.georoad.ge on the following link:

http://www.georoad.ge/?lang=eng&act=tenders&func=menu&uid=1490604057

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

A consultant will be selected in accordance with the **"Consultant's Qualification Selection"** procedures set out in World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers* , January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines").

The consultant will be expected to have sound experience in the preparation of roads design and bidding documents.

**Shortlisting criteria:**

- General experience in preparation of detailed designs and bidding documents over the last 5 years (assignments completed in and/or after 2012);
- Similar experience i.e. experience in preparation of road infrastructure detailed designs that include road safety measures over the last 5 years (assignments completed in and/or after 2012);

Only SUCCESSFULLY COMPLETED assignments will be taken into account during evaluation.

*The Roads Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.*

Interested consultants may obtain further information at the address: i

Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **July 20, 2017, 17:00 hours.**

Name: Giorgi Seturidze

Position: Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia

Email: info@georoad.ge

Web-Site: www.georoad.ge

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
სულხან-საბას ქ. №3.
293-13-34; 599 797679

# მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

**საქართველო**

**შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტი (SLRP III)**

**კრედიტის/სესხის № IBRD 8402 -GE**

**პროექტის №: P148048**

**დავალების სახელწოდება: IRAP კვლევა გურიის რეგიონში**

**კონტრაქტი/RFP № SLRPIII/CS/CQS-05**

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტისთვის.** აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **”iRAP კვლევა გურიის რეგიონში”.**

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს (მაგრამ არ არის შეზღუდული) შემდეგს: შესაბამისი გამოცდილება მსგავსი დავალებების განხორციელებაში, კორპორატიული პროფილი.

დავალების ძირითადი მიზანია გაზარდოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესაძლებლობა iRAP-ში ტრენინგის და საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში iRAP კვლევის ჩატარების გზით, რათა დამკვეთმა მომავალში საკუთარი შესაძლებლობებით შეძლოს iRAP კვლევის და შეფასების ჩატარება.

მოკლე სიაში მოხვედრის კრიტერიუმებია:

- ზოგადი გამოცდილება საგზაო უსაფრთხოების პროექტებში (კვლევა, აუდიტი, შეფასება, პროექტირება და სხვა);
- მსგავსი გამოცდილება - საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის განხორციელებულ iRAP კვლევებში და კოდირებაში, ანალიზში და ანგარიშების მომზადებაში;

კონსულტანტს უნდა ქონდეს ლიცენზია რათა გამოიყენოს შესაბამისი iRAP პროტოკოლი, ტექნოლოგია და მეთოდები მთელი პროექტის მანძილზე და iRAP-ის ტრენინგის მონაწილეებს მისცეს შესაბამისი iRAP აკრედიტაცია.

<u>შენიშვნა: მოკლე სიაში მოხვდება მხოლოდ **iRAP** აკრედიტირებული კონსულტანტები.</u>

საკონსულტაციო მომსახურების სავარაუდო ხანგრძლივობაა 6 კვირა.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუცქიისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურებებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით შეუძლიათ გაერთიანდნენ სხვა ფირმებთან ერთობლივი საწარმოს ან ქვე-კონსულტანტის სახით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებგვერდზე <u>www.georoad.ge</u> შემდეგ ბმულზე:

<u>http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1490604057</u>

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაფუძნებული შერჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: <u>*მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება,*</u> 2011 წლის იანვარი - განახლებული 2014 წლის ივლისში („კონსულტანტის სახელმძღვანელო პრინციპები").

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ელ-ფოსტის მეშვეობით: <u>info@georoad.ge</u>

ინტერესის გამოხატვის ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2017 წლის 28 ივლისის, 17:00 საათისა.**

სახელი: გიორგი სეთურიძე

თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე

მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო

ელ. ფოსტა: <u>info@georoad.ge</u>

ვებ-გვერდი: <u>www.georoad.ge</u>

# REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

**Georgia**

**Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII)**

**Credit/Loan No:** IBRD 8402-GE

Project No. P148048

Assignment Title: The International Road Assessment Programme (iRAP) Study in Guria region

Contract/RFP No: SLRPIII/CS/CQS-05

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Third Secondary and Local Roads Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed under this project and by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultants to express their interest in providing the following services: **"The International Road Assessment Programme (iRAP) Study in Guria region"**.

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile.

Main objective of the assignment is to increase the capacity of the Roads Department of Georgia to conduct future iRAP surveys and Star Rating in-house through providing the iRAP training and delivering the iRAP survey in one of the region of Georgia. The required iRAP accredited equipment and inventory software will be provided to the awarded consultant by the Client.

The shortlisting criteria are:

- General experience in road safety projects (surveys, audit, assessment, design etc.);
- Similar experience in iRAP surveys and coding, analysis and reporting for road infrastructure projects;

The consultant should be licensed to use the appropriate iRAP protocols, technology and methods for the duration of the project and provide iRAP accreditation to the participants of the iRAP training.

<u>Note: Only the iRAP accredited consultants will be considered for shortlisting.</u>

Estimated duration of assignment is 6 weeks.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's <u>*Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*</u>, January 2011 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (*Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association)* to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on <u>www.georoad.ge</u> on the following link:

<u>http://www.georoad.ge/?lang=eng&act=tenders&func=menu&uid=1490604057</u>

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

A consultant will be selected in accordance with the "Consultant's Qualification Selection" procedures set out in World Bank's <u>*Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*</u> , January 2011 - Revised July 2014 ("Consultant Guidelines").

Interested consultants may obtain further information by email: <u>info@georoad.ge</u>

Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **July 28, 2017, 17:00 hours.**

Name: Giorgi Seturidze

Position: Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia

Email: <u>info@georoad.ge</u>

Web-Site: <u>www.georoad.ge</u>

SOS!

# რაღა დროს ტაქტია?!

**ჩვენებურთა მორიგი კრახის შემდეგ ტელეკომენტატორებმა ხაზი გაუსვეს — ქართული საკლუბო ფეხბურთი რეფორმებს საჭიროებსო, თითქოს ასაკობრივი და ეროვნული ნაკრებები დაფრინავდნენ და ციდან ვარსკვლავებს წყვეტდნენ.**

რასაკვირველია, კოლეგებმა ამ შემთხვევაში სიტყვები შეარჩიეს და სათქმელი ტაქტიანად თქვეს, თუმცა, დაგვეთანხმებით, ყველაფერს აქვს საზღვარი და თანამემამულეთა ქრონიკული ფიასკოების ფონზე მთელი ხმით უნდა დავარისხოთ: ქართული ფეხბურთი ხროტინებს!

**„ყარაბაღი“ — „სამტრედია“ 5:0**

ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდის სასტარტო შეხვედრის წინ მეტოქემ ზედიზედ ოთხი საწვრთნელი სპარინგი წააგო, გია ცეცაძის გუნდთან ბრძოლაში კი ერთბაშად ორი წამყვანი ლეგიონერის გარეშე ჩაება.



ბუნებრივია, ამან ცოტა არ იყოს, დაგვამშვიდა — იქნებ, ბაქოს ტოფიკ ბახრამოვის სახელობის სტადიონიდან თავაწეულნი დავბრუნდეთ-თქო, მაგრამ...

როგორც აღმოჩნდა, მასპინძლები კვალიფიციურ შემსრულებელთა დეფიციტს ისედაც არ განიცდიან, თანაც მათი მწვრთნელი ყურბან ყურბანოვი კოლეგასთან შედარებით გამოცდილებითაც გამოირჩევა და, როგორც აღმოჩნდა, ტაქტიკური ალღოთიც. აღარაფერს ვამბობთ ბევრის (თუ არა ყველაფრის) განმსაზღვრელ საკლუბო ბიუჯეტზე.

შეიძლება, ბევრმა გამამართლებელ საბუთად თურქი მსაჯის ფაქტორი მოიყვანოს, რომელიც ერთმორწმუნეებს სადავო პენალტებით შეეწია, მაგრამ ისიც ვიკითხოთ: საერთო სურათი უამისოდ რამდენად შეიცვლებოდა?

**გიორგი შოთაძე**

კალათბურთი




# ისტორიით მეტოქეც ამაყობს

**გაირკვა ევროპულ საკალათბურთო ოჯახში ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაბრუნებული თბილისის „დინამოს“ პირველი მეტოქის ვინაობა ჩემპიონთა თასის დამდეგ გათამაშებაში.**

19 სექტემბერს ირაკლი ხოშტარიას გუნდი ესპანურ „ხუვენტუდს“ უმასპინძლებს, ხოლო 21 სექტემბერს მეტოქეს ბადალონაში ეწვევა.

შეგახსენებთ, რომ კატალონიელებმა 1994 წელს ევროლიგა მოიგეს, სულ ოთხჯერ მოიპოვეს ქვეყნის ჩემპიონობა, ხოლო გასულ სეზონში 32-დან მხოლოდ 11 მატჩში მიღწეული წარმატებით 17-გუნდიან ტურნირში შეუფერებელი მე-14 ადგილი დაიკავეს. მათი მწვრთნელია დიეგო ოკამპო.

აღნიშნულ წყვილში გამარჯვებული შემდეგ წრეში ფინურ „კატაიას“ შეხვდება, უფრო წინ წასული კი ბონის „ტელეკომს“ (გერმანია).

**ვიტალი ჯაფარიძე**

სამბო

# ასტანური ნადავლით

**ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში გამართულ სამბისტთა საერთაშორისო ტურნირში („პრეზიდენტის თასი“) 16 ქვეყნის 200-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა.** ვაჟთა და ქალთა შორის საპრიზო სამეულები 9-9 წონით კატეგორიაში გამოვლინდა. შესანიშნავად იჭიდავეს ქართველმა ფალავნებმა, რომლებმაც 7 ოქროს, თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. განსაკუთრებით ჩვენმა ვაჟებმა იყოჩაღეს, რომლებმაც საქართველოს სპორტულ დელეგაციას 5 წონაში მოუტანეს უმაღლესი სინჯის ჯილდოები: კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ლევან ბერბერაშვილი (52 კგ), ბექა ბერულავა (82 კგ), პაატა ღვინიაშვილი (90 კგ), დავით ლორიაშვილი (100 კგ) და ბექა ბერძენიშვილი (+100 კგ). მძიმე წონის პაექრობები ქართული ფინალით დაგვირგვინდა. რეზო წულუკიძეს ვერცხლის მედალი ერგო. 52 კილოში მესამე იყო გიორგი მირუაშვილი. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ვაჟთა ნაკრებმა პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო ქალები მესამე პოზიციაზე გავიდნენ. ნინო ოძელაშვილმა (72 კგ) და ელენე ქებაძემ (+80 კგ) ოქროს მედლები მოიპოვეს.




**თამაზ პატარიძე**

ჭიდაობა




# პოლონური რეპეტიცია

**ვარშავაში დამთავრდა მოჭიდავეთა ციოლკოვსკისა და პეტლიასინსკის სახელობის ღია პირველობა. შეჯიბრებაში საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა გუნდებმა, რომლებმაც პოლონეთში ოპტიმალური შემადგენლობით იასპარეზეს, 10 მედალი მოიპოვეს. თავისუფალთა ანგარიშზე 2 ოქროსა და 5 ბრინჯაოს ჯილდოა. პირველი ადგილები ოლიმპიურმა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა (61 კგ) და ევროპის ჩემპიონატის პრიზიორმა ზურაბ იაკობიშვილმა (70 კგ) დაიკავეს, ბექა ლომთაძე (61 კგ), ავთანდილ კენჭაძე (74 კგ), დავით ხუციშვილი (86 კგ), ელიზბარ ოდიკაძე (97 კგ) და გიორგი მეშვილდიშვილი (125 კგ) კი ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ.**

პოლონურ ხალიჩაზე „კლასიკოსთა“ მონაგარი უფრო მოკრძალებულია — 3 მედალი. მძიმე წონაში ლევან არაბულმა (130 კგ) ყველას აჯობა, ხოლო შმაგი ბოლქვაძე (71 კგ) და რობერტ კობლიაშვილი (85 კგ) მესამე ადგილებზე გავიდნენ.

მოჭიდავეთა მსოფლიოს 2017 წლის ჩემპიონატი 21-26 აგვისტოს პარიზში გაიმართება.

**ლაშა დიდია**

ტყვიის სროლა

# ბაქოში – არგენტინის საგზურისთვის

**22 ივლისიდან 4 აგვისტომდე აზერბაიჯანის დედაქალაქი ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს სასტენდო და სპორტული პისტოლეტით სროლაში, ხოლო პნევმატურში ის ახალგაზრდები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, რომლებიც არგენტინაში გასამართავი ახალგაზრდობის მესამე ოლიმპიური თამაშების საგზურებისთვის იბრძოლებენ.**

საქართველოს ტყვიის მსროლელთა ნაკრები უკვე გაფრინდა ბაქოში, სადაც 10-დღიან საწვრთნელ შეკრებას გაივლის. გუნდის შემადგენლობაში არიან ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონატების სამგზის გამარჯვებული ნინო სალუქვაძე, მისი ვაჟი ცოტნე მაჭავარიანი და ლევან ქადაგიძე, რომელმაც მწვრთნელის ფუნქციებიც შეითავსა.

არგენტინის ლიცენზიებისთვის სამი ჩვენებური გაისარჯება: ვაჟებში — ახალგაზრდებს შორის ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი (გუნდურში) თბილისელი აკაკი მოსულიშვილი, გოგოებში კი — ქუთაისელები: ახალგაზრდებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი ნინო ხუციბერიძე და ლიზი კილაძე. ახალგაზრდების ოლიმპიურ თამაშებში მოსახვედრად ჩვენებს საკმაოდ ძნელი




ამოცანის გადაჭრა მოუწევთ — ბაქოში სამეულში უნდა მოხვდნენ. თუ ეს ვერ შეძლეს, მიზნის მისაღწევად კიდევ ერთი შანსი დარჩებათ: გაისად თებერვალში გასამართავი ევროპის ჩემპიონატი პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში, რომელსაც უნგრული დიორი უმასპინძლებს.

ბაქოში ევროპის ჩემპიონატი სპორტული პისტოლეტიდან სროლაში ახალგაზრდებს შორისაც ჩატარდება, თუმცა, ქართველები მასში არ იასპარეზებენ, რადგან საქართველოში საამისოდ მოსამზადებელი პირობები არ არის, თანაც ახალგაზრდები და უფროსებიც ერთ დღეს გავლენ ცეცხლის ხაზზე.

ბაქოში სასანგრე სტენდზე ფედერაციის პრეზიდენტი კახა სიხარულიძე მოსინჯავს ძალებს, ხოლო მრგვალ სტენდზე პირად-გუნდურში ხუთი მონაწილე გვეყოლება: დავით და გივი ქვათაძეები, ვლადიმერ ნარჩემაშვილი, თენგიზ იმნაიშვილი და ლუკა მანჯგალაძე, ხოლო მთავარი მწვრთნელია გია შენგელია.

**ლექსო ცინცაძე**

ფარიკაობა

# მოხმალავენი – სრული შემადგენლობით

**გერმანიის ქალაქი ლაიფციგი 19 ივლისიდან მოფარიკავეთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს.** ამ შეჯიბრებაში სხვებთან ერთად მედლებისთვის ქართველებიც იბრძოლებენ. ალემანთა ქვეყანაში მოხმალავეები სრული გუნდებით გაემგზავრებიან. ვაჟთა ნაკრების (ის მსოფლიო რეიტინგში ამჟამად მე-10 ადგილზეა) ღირსებას დაიცავენ რიოს ოლიმპიადის მონაწილე, ახალგაზრდებში ევროპის პირველობების სამგზის გამარჯვებული სანდრო ბაზაძე, რომელმაც ერთი თვის წინათ თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა, ასევე, ბექა ბაზაძე, საბა სულამანიძე და მიხეილ მარდალეიშვილი, რომელმაც ტრავმა მოიშუშა და ახლა მთელი დატვირთვით ვარჯიშობს. ქალთა ნაკრებში იქნებიან ევროპის წლევანდელი ჩემპიონი თეოდორა კახიანი, დარია ანტონოვა და ლიკა ჯიჯეიშვილი. კახიანი ევროპის პირველობის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა და იქ ემზადებოდა პირადი მწვრთნელის — ვეს გლონის ხელმძღვანელობით. ლაიფციგში იგი 16 ივლისს ჩაფრინდება. რაპირაში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვლენ 23-წლამდელთა ევროპის წლევანდელი პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი ლუკა ღაღანიძე და დაშნით მოფარიკავე მაია გუჩმაზოვა. ისინი პირადი მწვრთნელების — ირაკლი ღაღანიძისა და სერგო ხატიაშვილის ხელმძღვანელობით მოსკოვში რუსეთის ნაკრების წევრებთან ერთად გადიან საწვრთნელ შეკრებას.



**გივი გაგუა**

# ოთარ აბესაძისთვის ქრთამი ისევ ჯოჯოხეთს ანათებს!



**საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელი ოთარ აბესაძე დააკავეს.**

გამოძიებამ დაადგინა,რომ 2017 წლის მაისში ოთარ აბესაძე საქართველოს მოქალაქეებს ქ. თბილისში მდინარე მტკვარზე, ტივზე არსებული კაფის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭირო ნებართვების, ქ. თბილისის მერიის სხვადასხვა სამსახურებიდან დაჩქარებული წესით აღებაში დახმარებას დაჰპირდა, რის სანაცვლოდაც ქრთამის სახით 3000 აშშ დოლარის გადახდა მოითხოვა. გარდა ამისა, მან ხსენებულ მოქალაქეებს განუმარტა, რომ ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის, ქონების და ზედამხედველობის სამსახურებში ყველა საკითხი შეთანხმებული იყო მის მიერ და ტივის მოსაწყობად საჭირო სამუშაოები შეეძლოთ, უპრობლემოდ დაეწყოთ. ამასთან, იგი უზრუნველყოფდა, რომ სარემონტო სამუშაოების წარმოებისას არ მომხდარიყო მათი დაჯარიმება ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლების მიერ.

მიმდინარე წლის 11 ივლისს ოთარ აბესაძემ ზემოაღნიშნულ ერთ-ერთ მოქალაქეს გამოართვა მის მიერ ქრთამის სახით მოთხოვნილი თანხა 3000 აშშ დოლარის ოდენობით, რის შემდეგაც იგი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით ექვსიდან ცხრა წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# თბილისის მერია: ბოროტად ნუ გამოიყენებთ დაკავებულ თანამდებობებს!!!

**თბილისის მერია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს მიერ მერიის თანამშრომლის დაკავების ფაქტს ეხმაურება.**

თბილისის მერია თანამშრომლებს მოუწოდებს, ბოროტად ნუ გამოიყენებენ დაკავებულ თანამდებობებს და ნუ შელახავენ მერიის სტრუქტურაში მომუშავე საჯარო მოსამსახურეების ღირსებასა და პატივს.

# მერები, გამგებლები და საკრებულოს თავმჯდომარეები „თეთრი ყვავები“ არიან?!

**საჯარო სამსახურის შესახებ ახალი კანონის მიხედვით მუნიციპალიტეტის გამგებლებსა და საკრებულოს თავმჯდომარეებს ნარკოლოგიური შემოწმების გავლა პირველი ივლისიდან აღარ მოეთხოვებათ.**




„გამგებლებისა და საკრებულოს თავმჯდომარეების უფლებამოსილებას არეგულირებს თვითმმართველობის კოდექსი, თუმცა ეს კოდექსი ღიად ტოვებს მათი ნარკოლოგიური შემოწმების საკითხს, — განმარტავს მირზა მამულაძე, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტი. — თვითმმართველობის პოლიტიკური თანამდებობის პირების ნარკოტესტირებას ასევე არ განსაზღვრავს საარჩევნო კოდექსი. ამ კოდექსით მხოლოდ პარლამენტის წევრების ნარკოლოგიური შემოწმების წესებია განსაზღვრული.“

მირზა მამულაძე ამბობს იმასაც, რომ კანონის ეს ჩანაწერი პრობლემურია და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ ამ კუთხით მუშაობას აპირებს.

კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ მხოლოდ რიგით საჯარო მოხელეებს ავალადებულებს, წარმოადგინონ ნარკოლოგიური შემოწმება. ამ კანონის 27-ე მუხლში ვკითხულობთ: **„პირი მოხელედ არ მიიღება, თუ მან სამსახურში არ წარმოადგინა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა, ან წარმოდგენილი ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ადასტურებს ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს.“**

გამოდის, რომ მუნიციპალიტეტების თანამშრომლებს ნარკოლოგიური შემოწმების გავლა მოეთხოვებათ სამსახურში აყვანის დროს. „გარდა ამისა, უწყების ხელმძღვანელ პირებს აქვთ, ექსკლუზიური უფლებამოსილება, ნებისმიერ დროს, გაუფრთხილებლად მოითხოვონ რომელიმე თანამშრომლის ნარკოლოგიური შემოწმება,“ — დასძენს მირზა მამულაძე.

ახალი კანონის მოქმედება ასევე არ ვრცელდება პროკურორებსა და პროკურატურის გამომძიებლებზე.

# საოკუპაციო ხაზთან შექმნილი მდგომარეობა სერიოზული ჰუმანიტარული პრობლემაა

**შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ქეთევან ციხელაშვილის განცხადებით, საოკუპაციო ხაზთან შექმნილი მდგომარეობა ძალიან სერიოზული ჰუმანიტარული პრობლემაა.**

„ეს არ არის მხოლოდ უსაფრთხოების თვალსაზრისით გამოწვევა, არამედ ეს არის ძალიან სერიოზული ჰუმანიტარული პრობლემა, პირველ რიგში ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რომელსაც პრობლემები ექმნება მიწაზე წვდომის, ოჯახებთან კონტაქტის, სალოცავებზე და სასაფლაოებზე გასვლის. ეს არ არის იმ კონკრეტული ადამიანების პრობლემა, რომლებიც ცხოვრობენ მართულხლართებთან, ეს არის მთლიანად ჩვენი საზოგადოებისთვის ძალიან მტკივნეული საკითხი. ეს არ არის გამოწვევა მხოლოდ საქართველოს უსაფრთხოებისთვის, ეს არის გამოწვევა მთლიანად რეგიონის და ევროპული უსაფრთხოებისთვის. საქმე არ გვაქვს ერთ ბანერთან, საქმე გვაქვს ჩვენ სერიოზულ სამხედრო სიმძლავრეებთან, რომელიც ამ ბანერების უკანაა განთავსებული. შესაბამისად ჩვენი პოლიტიკა კონფლიქტის მშვიდობიანი მოლაპარაკების, რომელიც თავის მხრივ დეოკუპაციას მოიცავს, არის ძალიან პრინციპული. პირველ რიგში, ეს გულისხმობს საერთაშორისო მხარდაჭერის მუდმივ და ძალიან მტკიცე მობილიზებას საქართველოს სამ-



შვიდობო პოლიტიკის მიმართ, დეოკუპაციის ამოცანების ირგვლივ, ჩვენი ყველა შეხვედრის ნომერ პირველი საკითხი დღის წესრიგში გახლავთ სწორედ საოკუპაციო ხაზთან არსებული მდგომარეობა“, — განაცხადა ციხელაშვილმა.

## სანთელი

ემზარ, მანანა ჩაჩხიანები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**გიორგი გაჩეჩილაძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ლეილა, მარინა, ლელა, ბათალბეგ, გიორგი გაჩეჩილაძეებს.

---

მაკა, გიორგი ჩაჩხიანები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**გიორგი გაჩეჩილაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ლეილა, მარინა, ლელა, ბათალბეგ, გიორგი გაჩეჩილაძეებს.

---

თამარ, ნიკა ჩაჩხიანები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**გიორგი გაჩეჩილაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ლეილა, მარინა, ლელა, ბათალბეგ, გიორგი გაჩეჩილაძეებს.

---

შვილები ანასტასია, ნანა, ლელა ლაპიაშვილები, სიძეები შოთა მელივა, პაატა მირაშვილი, შვილიშვილები ნიკოლოზ, გაბრიელ, თამარ მელივები, ალექსანდრე, მარიამ, თედო ჩუბინიძეები ოჯახებით, ძმა გურამ ქაშაკაშვილი, ძმისშვილები ბენო, ია ქაშაკაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გულნარა ქაშაკაშვილი**

დაკრძალვა 13 VII, 15 სთ., მის: ქ: თბილისი, ვაზისუბანი, ხელოვანთა ქ. სახლი 14 (სასტუმრო „კაველას“ მიმდებარედ).

# თიანეთი-ზარიძეები-ჟინვალის გზის მშენებლობა მთავრდება

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის თიანეთი-ზარიძეები-ჟინვალის 12-კილომეტრიანი მონაკვეთის სამშენებლო სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ასრულებს.**

თიანეთი-ზარიძეები-ჟინვალის მნიშვნელოვან მონაკვეთზე ასფალტ-ბეტონის საფარი ფრაგმენტულად იყო შემორჩენილი და წყლის აცილების სისტემა კი მწყობრიდან გამოსული. პროექტის დასრულების შემდეგ კი სრულად მოგვარდება არსებული პრობლემები.

სამშენებლო მონაკვეთი გაივლის თიანეთისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლებს: ზარიძეები, ზემო ბუჭვინტა, ვერხველი, ზემო შარახევი, ზენამხარი, იარაჯულები, ივლიანთგორი, ლახატო, საკრეჭიო, ქვემო შარახევი, ხოფცა, ჯოჯეთი, ფუძნარი და ბოდავი.



პროექტის ღირებულება 21 536 367 ლარია და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.


# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2017 წლის 4 სექტემბერს 14 საათზე ქობულეთის რაიონი, ქობულეთი, თავისუფლების 23ა-27ა გაიმართება შპს “ევროპეტროლი”-ს (ს/კ245578398) კუთვნილი ნავთობბაზის (ქობულეთის რაიონი, ქობულეთი, თავისუფლების №23ა-27ა) გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა.

აღნიშნულის მიზანს წარმოადგენს ტერიტორიაზე განთავსებულ ნავთობბაზაში დაგეგმილი საქმიანობა.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართზე:

-ქობულეთის რაიონი, ქობულეთი, თავისუფლების 23ა-27ა, შპს “ევროპეტროლი”-ს სათავო ოფისი.

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირი:
**მამუკა მოწყობილი** ტელ: 558 44 44 05
შპს “ევროპეტროლი”-ს ადმინისტრაცია

# გამარჯობა, საქართველო! მალე ვნახავთ ერთმანეთს!

JAMIROQUAI **ვიდეომიმართვას ავრცელებს.**

ბრიტანულმა ბენდმა ვიდეომიმართვაში ქართველ მსმენელს მიმართა, „გამარჯობა, საქართველო! როგორც იცით, მე მალე ჩამოვდივარ. გადღეგრძელებთ. მალე ვნახავთ ერთმანეთს“.



ცნობისთვის, ბრიტანული ჯგუფი კონცერტს ბათუმში 28 ივლისს გამართავს. კავკასიის რეგიონში საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც „გრემის“ ლაურეატმა ჯგუფმა კონცერტის ჩატარების სურვილი თავად გამოთქვა.

ჯაზ-ფესტივალის პროგრამაშია ჯოს სთოუნის და ამერიკული ტრიო „დე ლა სოულის“ საღამო.

# ქობულეთში დაცული ტერიტორიების ახალი ოფისი იხსნება

**13 ივლისს ქობულეთში კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიების ახალი ოფისი გაიხსნება. შენობა ვიზიტორთა ცენტრს, მუზეუმის საგამოფენო სივრცეს, 4 სასტუმრო ნომერსა და კაფეტერიას აერთიანებს.**



ვიზიტორთა ცენტრი მნიშვნელოვანია ქობულეთის და აჭარის ზღვისპირეთის სტუმრების ინფორმირებისთვის და მთიანი აჭარით დაინტერესებისთვის. აღსანიშნავია, რომ დღეს, ტურისტებისთვის აჭარა ძირითადად ზღვის კურორტს წარმოადგენს, მაშინ როდესაც ამ რეგიონს მრავალმხრივი ტურისტული პოტენციალი აქვს. ვიზიტორთა ცენტრის საშუალებით მოხდება ტურისტების ნაკადების აჭარის სოფლებისკენ მიმართვა (დაცული ტერიტორიების მიმდებარე მუნიციპალიტეტები). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორების რაოდენობა დინამიკაში, ყოველწლიურად იზრდება.

სტატისტიკის მიხედვით, 2017 წელს, 2016 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა რაოდენობა, 26%-ით გაიზარდა (2016-236 449; 2017-298 567). ასევე, 32%-ით გაზრდილია დაცულ ტერიტორიებზე უცხოელ ვიზიტორთა რიცხვი (2016-77 852; -2017-102 471). 2017 წელს დაცულ ტერიტორიებს ყველაზე მეტი ვიზიტორი გერმანიიდან, უკრაინიდან, პოლონეთიდან, ისრაელიდან და რუსეთიდან ეწვია.

რეგიონში დაცული ტერიტორიების შექმნა არა მარტო ბუნების დაცვას, არამედ ტურიზმის განვითარებას, ქვეყნის პოპულარიზაციას გულისხმობს და პირდაპირ აისახება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

შენობა კოლხეთის განვითარების ფონდის და გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით აშენდა და მოეწყო.

# ყველაზე მძიმეწონიანი მოდელი გათხოვდა?

**ტესი ჰოლიდეი მსოფლიოში ყველაზე ჭარბწონიანი მოდელია — იგი 155კგ. იწონის. როგორც ირკვევა იგი 2 წლის წინ გაბედნიერდა, თუმცა ამ ფაქტს საგულადგულოდ მალავდა.**

პუტკუნა ლამაზმანმა მხოლოდ ახლა გამოაქვეყნა საკუთარ ინსტაგრამზე ფოტო ქორწილის ცერემონიალიდან.

ტესი და მისი მეუღლე ნიკი ერთად ზრდიან საერთო შვილს ბიუის და მოდელის 10 წლის ვაჟს, რომელიც მას ნიკიმდე ეყოლა.



მოდელი ამბობდა, რომ მას მთელი ბავშვობა აქილიკებდნენ წონის გამო და მარტოობით ემუქრებოდნენ, თუ წონას არ დაიკლებდა. როგორც ვხედავთ ტესიმ არავის დაუჯერა და იგი „Top-Size“ მოდელი გახდა.

**ყველაფერი ყველაფერზე**

# დედა ტერეზას ცნობილ ტანისამოსს სავაჭრო მარკა მიენიჭა

**„მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის მფლობელის, უდიდესი საქველმოქმედო ორდენის „ქველმოქმედების მისიონერები“ დამაარსებლის დედა ტერეზას ცნობილი თეთრი სარი ლურჯი ზოლებით, ოფიციალურად დაარეგისტრირეს, როგორც სავაჭრო მარკა.**



როგორც ცნობილია ასეთი სარი, დედა ტერეზამ კალკუტაში (ინდოეთი) სწორედ იმ დღეს შეიძინა, როდესაც ღარიბებთან მუშაობის ნებართვა მისცეს.

ასეთი ნაბიჯის გადადგმა ორდენის წარმომადგენლებმა იმიტომ გადაწყვიტეს, რომ სხვადასხვა ორგანიზაციები, არაკეთილსინდისიერად იყენებდნენ მათ სახელსა და ტანისამოსს, მათ შორის თაღლითებიც.

დედა ტერეზა, იგივე აგნეს გონჯა ბოიაჯუ, 1910 წელს სკოპიეში (მაკედონია) დაიბადა. მან საქველმოქმედო ორგანიზაცია ინდოეთში, კალკუტაში დააარსა და მთელი მსოფლიოს მასშტაბით სიკეთის ელჩი გახლდათ. მისი გარდაცვალების შემდეგაც „დები მისიონერები“ 139 ქვეყანაში კვლავ აგრძელებენ სიკეთის თესვას. 2016 წელს დედა ტერეზა წმინდანად შერაცხეს.

# უმცროსმა ბეკჰემმა დაბადების დღე ბუკინგემის სასახლეში იზეიმა

**ცნობილი ფეხბურთელის დევიდ ბეკჰემის პატარა ქალიშვილმა ჰარპერმა, რომელსაც 10 ივლისს 6 წელი შეუსრულდა, დაბადების დღეზე საჩუქრად ბუკინგემის სასახლეში ვიზიტი დაიმსახურა.**



გოგონა მშობლებთან და სკოლის რამდენიმე მეგობართან ერთად სამეფო სასახლეს ეწვია. სტუმრებმა ჩაის მირთმევის ცერემონიალში მიიღეს მონაწილეობა, რომელსაც პრინცესა ევგენია, დედოფალ ელისაბედის შვილიშვილი ესწრებოდა.

როგორც ბეკჰემები იუწყებიან ეს მათთვის არ დაგეგმილა და შემთხვევით გაუმართლათ, რადგანაც ჩაის მირთმევის ცერემონია იორკის ჰერცოგინიამ თავისი ახლობლებისთვის დაგეგმა.

ბეკჰემებს ჰარპერის გარდა, კიდევ სამი უფროსი ვაჟი ჰყავთ.

# ახალი აგენტი-007 ისევ დენიელ კრეიგია?

**2015 წელს როდესაც „ბონდიანას“ ბოლო სერია გამოვიდა ეკრანზე, მთავარი როლის შემსრულებელი, ჰოლივუდის ვარსკვლავი დენიელ კრეიგი მტკიცედ აცხადებდა, რომ ვერანაირი ძალა მას ახალ სერიაში მონაწილეობაზე ვერ დაითანხმებდა.**




49 წლის მსახიობი აცხადებდა, რომ ფილმში შესასრულებელი ტრიუკებისთვის ის სკმაოდ „ბებერია“ და მუხლი აღარ ემორჩილებოდა. მასმედიის აზრით კი მან ეს გადაწყვეტილება, ჯერჯერობით ბოლო ჯეიმს ბონდის სერიის „ოპერაცია სქაიფოლში“ შესრულებული როლის გაკრიტიკების შემდეგ მიიღო.

ახალი სერიისთვის არა ერთ ვარსკვლავს განიხილავდნენ. თუმცა პროდიუსერებმა უკვე გაამხილეს საიდუმლო. აგენტი-007 ისევ დენიელ კრეიგი იქნება. მუსიკალურად ფილმს კვლავ ბრიტანელი მომღერალი ადელი გააფორმებს, რომელმაც წინა სერიის გაფორმებისთვის დამსახურებული ოსკარი აიღო.

როგორც ირკვევა, პროდიუსერებმა კრეიგს იმდენად მაღალი ჰონორარი შესთავაზეს, რომ აგენტმა ცდუნებას ვეღარ გაუძლო.

**მოამზადა რუსუდან ქობულიამ**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.3943; ევრო - 2.7281;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0901;
100 რუბლი - 3.9344; თურქული ლირა - 0.6590;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4074;
1000 სომხური დრამი - 4.9965.

**ამინდი 13 ივლისისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +16 | დღე | +30 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +12, | დღე | +28 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +18, | დღე | +33 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +15 | დღე | +31 |
| თბილისი: | ღამე | +21, | დღე | +27 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge